# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 7 თებერვალი, 2013 წელი.

№23 (7150)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბუნებრივი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

# ისემც შენ რა გითხარი, „მიშასტყაოსანო“!

თუ ყოფილი მინისტრის მიმართ არსებობს კითხვები, შენს მიმართ ვითომ რად არ უნდა გასჩენოდათ და რად გიკვირს ეს, ტარიელ?




2

გუშინდელმა აყალმაყალში გადაზრდილმა საპარლამენტო დებატებმა კიდევ ერთხელ ცხადყვეს, რომ ნაციონალებს კანონიერი მარცხის შეგუება არ სურთ და, დროის მიერ წყალწაღებულნი, ხალხის მოთმინების ხავსს ებღაუჭებიან.



# ნაცებმა დენთის (ბუნტის) სუნი დაატრიალეს!

4

„თუ საზოგადოებამ არ შეაფასა, რა ხდება ქვეყანაში, იგი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ტელევიზიის საშუალებით იოლი სამართავია“ 3

# როდემდე უნდა „იგულაოს“ უგულავამ? 9

6

# ყურადღება, ახტუნგ, ხალხო, ხვლიკი ისევ შედგა კუდზე!..

8 „დროა, რუსეთმა და საქართველომ განიხილონ ვიზების საკითხი“

# ქართული „დემოკრატიის“ ზეობა 5



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ კანონმდებლები

# ისემც შენ რა გითხარი, „მიშასტყაოსანო“!

**თუ ყოფილი მინისტრის მიმართ არსებობს კითხვები, შენს მიმართ ვითომ რად არ უნდა გასჩენოდათ და რად გიკვირს ეს, ტარიელ?**

**პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე, რომელზეც პარლამენტში შესატან ცვლილებებს განიხილავდნენ, უმცირესობის წევრის ტარიელ ლონდარიძის გამოსვლას დაპირისპირება მოჰყვა.**

**უმრავლესობის წევრების გაღიზიანება ლონდარიძის იმ განცხადებამ გამოიწვია, რომელიც ხელისუფლების და პირადად ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მასზე ზეწოლას შეეხებოდა.**

**„საკონსტიტუციო ცვლილებებს არ ვუჭერ მხარს იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი პირადად დამემუქრა ტელევიზიიდან. დაემუქრა ჩემს მომავალს, ჩემს შვილებს, ჩემს ცოლს. მე, რომელმაც 14 წლის ასაკში ჩავიცვი ფორმა, 20 წელი გავატარე შეიარაღებული ძალების რიგებში, მოვიარე აფხაზეთი, ვიბრძოდი 2004 წელს, ვიბრძოდი 2008 წელს, დავით საგანელიძე არ უნდა მასწავლიდეს, ჩემს შვილებს ჩავხედავ თვალებში თუ არა. გაფრთხილებთ, პირი გამოირეცხოთ“,** — მიმართა ლონდარიძემ უმრავლესობის წევრებს.

მისივე განმარტებით, ზეწოლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პროკურატურას მის მიმართ, როგორც თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის მიმართ, შეკითხვები სწორედ მაშინ გაუჩნდა, როცა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში ის წევრის სტატუსით ჩაერთო.

**„მე ვარ იმ კომისიის წევრი, რომელიც კონსტიტუციურ ცვლილებებს განიხილავდა. როგორც ცნობილია, ვმსახურობდი თავდაცვის სამინისტროში, ყოფილი მინისტრის მიმართ კი კითხვები არსებობს. სწორედ მაშინ, როცა კონსტიტუციური ცვლილებების განხილვა დაიწყო, პროკურატურას კითხვები გაუჩნდა ჩემთანაც. ეს გჭირდებათ იმისთვის, რომ ჩემზე ზეწოლა მოხდეს. თქვენ გჭირდებათ ისეთი ტარიელ ლონდარიძე, პოლკოვნიკი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის თითის ქნევით მიაჭერს წითელ თუ მწვანე ღილაკს. მე არ ვაპირებ არც სააკაშვილის გამო ვაჭირო ღილაკს თითი და მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილის გამო“,** — აღნიშნა ლონდარიძემ.

მისი ამ განცხადების შემდეგ პარლამენტის უმრავლესობის წევრებსა და ლონდარიძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რომელშიც მალევე უმცირესობის წარმომადგენლებიც ჩაერივნენ. ინციდენტი რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

**...ისე, ტარიელ, ჩვენს შორის დარჩეს და, დღეს გვჭირდება არა ისეთი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ვინმეს თითის ქნევით კი არ „მიაჭერს წითელ თუ მწვანე ღილაკს“, არამედ ისეთი (და სწორედ ისეთი!), თავისი ლომგული მთავარსარდალივით რომ არ გამოიქცევა ბრძოლის ველიდან და ოკუპანტს, ტერიტორიებთან ერთად, აღურიცხავ შეიარაღებას, ტექნიკა-აღჭურვილობას თუ სხვა რამეს არ დაუტოვებს.**

**ნუ გვიწყენ, მაგრამ ასეთია მწარე სიმართლე!**

**ნინო ქორჩილავა**



◉ ვისია, ვისია?!

# ნაციონალების ხელში უამრავი სოფელი აღმოჩნდა

**ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი კახა ნადირაძე აცხადებს, რომ, ერთი შეხედვით, უამრავი ტერიტორია თითქოს გასხვისებულია უცხოელებზე, სინამდვილეში კი მათ უკან ქართველი ჩინოვნიკები დგანან. For.ge კახა ნადირაძეს ესაუბრა.**

**— თქვენ აცხადებთ, რომ მიწები უპრეცედენტო მასშტაბით სხვისდება, რამაც შეიძლება ე.წ. მიწების რევოლუცია გამოიწვიოს. რას ეფუძნება თქვენი შეშფოთება?**

— ეს პროცესი წლების წინათ დაიწყო. იმ დროს ჩვენ მოვამზადეთ კანონპროექტი ფერმერული კოოპერატივების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის სოფლის მეურნეობის სააგენტოს დეპარტამენტის იურისტ-ექსპერტები. პრაქტიკულად, სოფლები გვეკარგებოდა, გვეცლებოდა, იყო ძალიან მაღალი მიგრაცია. ამ პრეისტორიის შემდეგ კი ჩვენ მივედით ქართული მიწების გეგმაზომიერ გასხვისებამდე. არ ვიტყოდი, რომ ეს ხელისუფლებას გამორჩა, რადგან უზარმაზარი ტერიტორიები დაიცალა ხალხისგან. წინასაარჩევნო პერიოდში თიანეთის ისეთ სოფლებში მოგვიწია მისვლა, სადაც 5-10 კომლი ცხოვრობს. იმ სოფლებში ვიღაცები ყიდულობენ მიწებს, ფაქტობრივად, ხშირად ქვეყნები და კონკრეტული გვარები სახელდება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ კონკრეტული ქვეყნებისა და გვარების მიღმა ქართველი ჩინოვნიკები დგანან „ნაციონალური მოძრაობიდან“, რომლებმაც ხელი მოითბეს, უზარმაზარი ტერიტორიები მიიზომეს და დღეს იმ მიწებს ტაბუ ადევს. ამას ეძახიან ვიღაცის მიწებს. სინამდვილეში, როცა გლეხი საქონლის გარეკვას ან მიწის დამუშავებას აპირებს, მასთან მიდის ვიღაც პირი და მას ფულს სთხოვს, შენ ჩემს მიწაზე შემოიჭერიო.



**სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, უნდა ვუშველოთ სოფელს მარჩენალს**

**— ანუ შესაძლოა, ჩვენი მიწა პაკისტანელს ან ჩინელს არც უყიდია და სინამდვილეში, მის უკან ქართველი ჩინოვნიკები დგანან?**

— ზუსტად ასეა. მე ვიცი ფაქტები, არათუ მიწები, სერიოზული სოფლებია ნაყიდი და უკვე მავანთა საკუთრებაშია ეს სოფლები.

**— რომელ სოფლებზეა საუბარი?**

— ეს სოფლები ქალაქიდან შორს მდებარეობს. ეს არის ქვემო ქართლის რაიონში, ანუ იმ რაიონებში, საიდანაც მოსახლეობის ძალიან დიდი მიგრაციაა. ამის პირველი ინდიკატორი არის მოსახლეობის მაღალი მიგრაცია. ეს არ ხდება ქვემო ქართლის იმ ნაწილში, სადაც არაქართული მოსახლეობა ცხოვრობს, რადგან ტრადიციულად ეს ადამიანები, მათი ეთნოფსიქოლოგიური ბუნების და მიწაზე მიბმულობის მაღალი ხარისხით, არ წყვეტენ ოჯახურ ურთიერთობას მიწასთან. სამწუხაროდ, ქართველები ასე არ ვართ. არაქართული მოსახლეობის ახალი თაობა იქვე ფუძნდება, ახალი ოჯახები იქმნება და ეს აძლევს მათ იმის საშუალებას, არათუ შეინარჩუნონ მიწები, პირიქით, გაიფართოონ კიდეც ტერიტორიები. დღეს, ფაქტობრივად, ისე გამოდის, რომ ქართველები, ისევ ქართული ბედოვლათობით აღმოჩნდებიან ხოლმე მათ სეზონურ მუშებად, მათთან მეურნეობებში. უარეს შემთხვევაში კი, ქართველები ტოვებენ ოჯახებს და მოდიან ქალაქში სეზონური მუშახელის პოზიციის საძებნელად, ლუკმაპურის საშოვნელად. ჩამოყალიბდა სერიოზული მიგრაცია, რასაც სახელმწიფომ მოუყრუა ყური და ცნობილი სამი მაიმუნის პოზიციაში ჩადგა — ვერ ვხედავ, არ მესმის, არაფერს ვამბობ. არადა, სოფლის მეურნეობა ურთულესი მექანიზმია, დაგვეცალა სოფლები.

**— ფერმერები რა პრობლემას აწყდებიან?**

— პრობლემები ფერმერებს განვითარების საშუალებას არ აძლევს. რამდენიმე წლის წინათ არასამთავრობო ორგანიზაციები შეხვდნენ ნიკა გილაურს. მაშინ ის პრემიერ-მინისტრი იყო, მე მომეცა განცხადების გაკეთების საშუალება და ვუთხარი, რომ სოფლებში მაღალი მიგრაცია შეინიშნება, ასევე — მოსახლეობის გაღარიბების დიდი ტენდენციაა. ადგილობრივები ყიდიან ამ მიწებს იმ ხალხზე, ვისაც ამის საშუალება აქვს, ახალი მფლობელები კი მათ უკრძალავენ ყოველგვარ ოპერირებას მათ ყოფილ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. პირდაპირ ვუთხარი, ეს ტენდენცია მიგვიყვანს ფეოდალურ საქართველომდე და ეს უნდა გავითვალისწინოთ-მეთქი. ამაზე გილაურს პასუხი არ ჰქონდა. როგორც ეხერხებოდათ, ასეთ თემებზე საუბრისას გაჩუმებდნენ. თუმცა, დღეს, ამ პოლიტიკურ სიტუაციაში უფრო მეტი სიმწვავე აქვს ამ პრობლემას. მიწა რომ მივეცით ხალხს, ამას ხომ უნდა მოჰყოლოდა მთელი ინფრასტრუქტურა — დაზღვევა, მიწების გარკვეული ბიოქიმიური პასპორტიზაცია?! დღეს გლეხმა ერთი და იგივე გადასახადი როგორ გადაიხადოს სხვადასხვა პროდუქტიულობის მქონე მიწაზე?! შოკური თერაპია თუ არ დავანახვეთ, რომ სწრაფად ხდება ამ პრობლემის მოგვარება, არაფერი გამოვა. უკვე გაზაფხული მოდის და საქმე არ ითმენს.

**— როგორ გესახებათ ამ დარგის შოკური თერაპია?**

— აუცილებელია, რომ მოკლე დროში შეიქმნას სოფლის განვითარების ჩამოყალიბებული, კომპლექსური სტრატეგია. მიწების კატეგორიზაცია უნდა მოხდეს. პირველ რიგში, ახალგაზრდობა უნდა დაბრუნდეს სოფლებში. ჩვენი მშობლების თაობა, 60-70 წლის ადამიანები ისე გახდნენ პენსიონერები, რომ დაღლა ვერ მოასწრეს საქმეში.

**— რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქალაქში არიან ადამიანები, რომლებსაც გარკვეულწილად, სოფლისკენ უფრო მეტი მიზიდულობა აქვთ, ვიდრე თავად ზოგიერთი სოფლის მცხოვრებს.**

— ეს იმიტომ, რომ ჩვენ გენში გვიდევს ეს.

**— დიახ, მაგრამ თაობები ჩამოვიდნენ ქალაქში და მიწები აღარ აქვთ სოფლად, ამიტომ ხომ არ უნდა შემუშავდეს ისეთი პოლიტიკა, ზვიად გამსახურდიას დროს რომ იყო, როცა ქალაქელებს მიზერულ ფასად გადასცემდნენ ნაკვეთებს? ამით დედაქალაქი განიტვირთება და ხალხი იქნებ, დამკვიდრდეს კიდეც სოფლად.**

— გეთანხმებით, ამიტომ კომპლექსური პოლიტიკა უნდა შემუშავდეს, სახელმწიფო თავად უნდა იყოს ამის განმსაზღვრელი. თუ სოფლიდან ქალაქში მიგრაცია არ შეჩერდა, ნებისმიერი ქვეყანა განწირულია დაღუპვისთვის. სხვათა შორის, ეს პოლიტიკა შეიძლება გაატარონ ყოფილი პატიმრების მიმართაც. ადამიანებს მაქსიმალურად გრძელვადიანი კრედიტირება უნდა მისცენ და ეს ხალხი დაასაქმონ, ისინი მოარიდონ ქალაქს, რადგან ქალაქი აღარ იძლევა მცირე ან დიდ ინდუსტრიებში დასაქმების საშუალებას. სახელმწიფო დახმარების მცირე პოლიტიკაც რომ იგრძნოს ამ ხალხმა, წავა და იმუშავებს. რა მოხდა, რომ უპატრონოდ დატოვებული მიწები ამ ხალხს გადაეცეს? არის ამის შესაძლებლობა, ვიდრე ამ მიწებს სხვები არ დაეპატრონებიან!

**მარიამ ლოლაშვილი**

◉ ინფორმაცია

# თბილისის საკრებულოში ნაციონალების რღვევა დაიწყო

**ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარის გულიკო ზუმბაძის ვარაუდით, დაახლოებით ორ თვეში თბილისის საკრებულოს ახალი უმრავლესობა ეყოლება.**

როგორც ზუმბაძემ განაცხადა, მოსალოდნელია მოქმედი უმრავლესობის — „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა, რისი ნიშნებიც ცხადია.

მისივე განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ახალი უმრავლესობა დაკომპლექტდება, არ გამოირიცხება, რომ საკრებულოს ახალი თავმჯდომარის პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატად „ქრისტიან-დემოკრატების“ ყოფილი წევრის ჯაბა სამუშიას კანდიდატურა განიხილონ.

— ამჟამად თბილისის საკრებულოში 47 დეპუტატია, მათგან 17 ოპოზიციაშია, დანარჩენი კი, უმრავლესობის სახით „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციაში ირიცხება. ზაზა გაბუნიას და ჯაბა სამუშიას „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ გასვლა ვითარებას რეალურად არ ცვლის, რადგან ისინი აქამდეც ოპოზიციაში იყვნენ და, შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი „ქართული ოცნების“ რომელიმე ფრაქციაში გაწევრდებიან, „ნაციონალური მოძრაობა“ უმრავლესობას მაინც არ კარგავს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უმრავლესობა შეიძლება დაკარგოს მხოლოდ მაშინ, თუკი მისი რღვევა დაიწყება და ეს მოსალოდნელიც არის. ახალი უმრავლესობის შექმნა ნამდვილად დგას დღის წესრიგში, თუმცა, ეს პროცესია და უცებ არ მოხდება. ამ საქმეს ერთ-ორი თვე მაინც დასჭირდება. შესაბამისად, საკრებულოს ახალი თავმჯდომარის საკითხი ჯერ არ განიხილება, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ გავრცელებული ინფორმაცია გამართლდეს და ჯაბა სამუშია ამ თანამდებობაზე ერთ-ერთი კანდიდატი იყოს, — აღნიშნა გულიკო ზუმბაძემ.



მისივე ინფორმაციით, უახლოეს მომავალში „ნაციონალური მოძრაობა“ 5-მდე დეპუტატმა შეიძლება დატოვოს.

ამასთან, ქდმ-ს ლიდერმა გიორგი თარგამაძემ გუშინ დაადასტურა, რომ ჯაბა სამუშია და ზაზა გაბუნია საკრებულოს ახალი უმრავლესობის ფორმირებაში გეგმავენ მონაწილეობას.

# „თუ საზოგადოებამ არ შეაფასა, რა ხდება ქვეყანაში, იგი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ტელევიზიის საშუალებით იოლი სამართავია“



**„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრა პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგს რამაზ საყვარელიძეს.**

**— ბატონო რამაზ, პრემიერ-მინისტრმა ახალი ხელისუფლების მუშაობის 100 დღე შეაჯამა, ისაუბრა ბიუჯეტის 1 მილიარდი ლარით გაზრდაზე, პენსიების ზრდაზე, ფასების კლებაზე, ჯანდაცვასა და განათლებაში დაფინანსების გაზრდაზე, სოფლის მეურნეობაში საგაზაფხულოდ დაგეგმილ უპრეცედენტო გეგმებზე. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად აფასებს პრემიერი ახალი ხელისუფლების საქმიანობას?**

— რამდენად ასახავს რეალობას ჩვეულებრივი ადამიანისთვის, მით უმეტეს ეკონომიკაში გაუთვითცნობიერებელი მოქალაქეებისთვის, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ იყო თვალშისაცემი — ამ ტიპის მოხსენებები ადრეც მოგვისმენია, მაგრამ არ მახსენდება ეკონომიკით ასე დატვირთული ანგარიში. მოხსენებაში ლომის წილი სწორედ ეკონომიკურ საკითხებზე მოდიოდა. ეკონომიკაზე საუბარი საკმაოდ გასაგები იყო. მას ციფრებზე გადაჭარბებულად არ უსაუბრია და ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო მათი რეალიზაციის მექანიზმებზე. რამდენიმე ტიპის ფონდი სწორედ ის მექანიზმია, რომლითაც უნდა განხორციელდეს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები. საინტერესოა, რომ სრულიად გასაგები იყო, რა პრინციპის საფუძველზე აპირებს და გეგმავს ის წინსვლას. როგორც ჩანს, ივანიშვილს მომავალი მიღწევები სწორედ ეკონომიკაში ესახება, რისი დასტურიც მისი ანგარიში იყო.

ერთადერთი სეგმენტი, სადაც მოსახლეობის ინტერესი უფრო დიდია, ვიდრე პრემიერმა თავის მოხსენებაში დრო დაუთმო, ეს გახლავთ ის, რასაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი ჰქვია. პრემიერმა კი თქვა, ეს პროცესი მიდისო, მაგრამ მოსახლეობას სწორედ იმასთან დაკავშირებით აქვს პრეტენზია, რომ იგი მიდის ნელა, არადამაჯერებელი და არამყარი ნაბიჯებით. პრემიერი შეეცადა, ამ სიღრმეებისთვის თავი აერიდებინა. ეს კი სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ თავადაც ამ პოზიციაზეა.

ერთადერთი სეგმენტი, სადაც მოსახლეობის ინტერესი უფრო დიდია, ვიდრე პრემიერმა თავის მოხსენებაში დრო დაუთმო, ეს გახლავთ ის, რასაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი ჰქვია. პრემიერმა კი თქვა, ეს პროცესი მიდისო, მაგრამ მოსახლეობას სწორედ იმასთან დაკავშირებით აქვს პრეტენზია, რომ იგი მიდის ნელა, არადამაჯერებელი და არამყარი ნაბიჯებით. პრემიერი შეეცადა, ამ სიღრმეებისთვის თავი აერიდებინა. ეს კი სავარაუდოდ იმას ნიშნავს, რომ თავადაც ამ პოზიციაზეა.

**— პრემიერის შემაჯამებელ პრესკონფერენციამდე ოპოზიციამ არაერთხელ გამოთქვა პრეტენზიები ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსზე. თქვენ რამდენად დაგაკმაყოფილათ ივანიშვილის განცხადებებმა საქართველოს ევროპულ და ატლანტიკურ არჩევანთან და იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ხელისუფლება საგარეო ასპარეზზე წარმატებულ პოლიტიკას ახორციელებს?**

— როგორც მას ხშირად სჩვევია, ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით უფრო გულახდილი ფორმულირება იპოვა, ვიდრე ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე. მისი აზრით, საქართველოს ევროპაზე ორიენტაცია იმიტომაც ექნება, რომ ჩვენნაირი პატარა ქვეყნებისთვის ევროპული ორიენტაცია მომგებიანია. საგარეო კურსის მთავარ ამოსავლად მომგებიანობა გახადა. თუ გავა 100 წელი და რომელიმე სხვა გეოპოლიტიკური არეალი იქნება ჩვენთვის მომგებიანი, საქართველო მერე იფიქრებს იმ პოლიტიკური სივრცისკენ მოძრაობაზე. მან საგარეო კურსი მომგებიანობას დაუკავშირა და თუ ამ ნიშნით ამოვალთ, საქართველოსთვის რუსეთი და მით უმეტეს სხვა მიმართულებები არ არის მომგებიანი.

**— ივანიშვილის შეფასებით, ოპოზიციაში გადაბარგებული „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებასთან ჯანსაღ ოპონირებას ვერ ახერხებს, ამიტომ პოლიტიკურ აქტიურობასთან დაკავშირებით საზოგადოებას მიმართა და მოუწოდა, „დინჯად, გააზრებულად და გაგებით მოეკიდნონ ოპოზიციის მცდელობას, სიცრუეში ამყოფონ ხალხი“. მან ასევე კვლავ გაიმეორა, რომ ხელისუფლება უარს ამბობს, პინგ-პონგი ეთამაშოს ოპოზიციას. თქვენი აზრით, რამდენად შეძლებს საზოგადოება პრემიერის მოწოდების სწორად გაგებას? და კიდევ, რას შეიძლება ნიშნავდეს ხელისუფლების მხრიდან საჯარო სივრცეში ოპონენტების ბრალდებებზე უარის თქმა და რამდენად გასაგები და კანონზომიერია ახალი ხელისუფლების ოპონენტებთან ურთიერთობების ამგვარი ტაქტიკა?**

— გეთანხმებით, რომ დაკვეთით ამგვარი რამ არ კეთდება ხოლმე. როცა კითხვები ჩნდება, ისინი პასუხის გაცემას მოითხოვენ. მე მაინც მგონია, რომ ე.წ. პინგ-პონგის ფორმულაზე უარის თქმა, საზოგადოებისთვის უფრო ორიენტაციის მიცემას ისახავდა მიზნად. პრემიერ-მინისტრს ჟურნალისტებთან საუბარში არაერთხელ უთქვამს, რომ ქართული ჟურნალისტიკა, უმეტესწილად, წინ იმ თემებს წამოწევს ხოლმე, რომელთაც რეალობასათან საერთო ნაკლებად აქვთ, მაგრამ მათი მთავარ თემად ქცევა „ნაცმოძრაობას“ სურს და მისსავე ინტერესებშია. სწორედ ამგვარი მოქმედებებით აღწევს ოპოზიცია, უმეტესწილად, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ჩემი აზრით, ოპოზიციის სიცრუეებსა და სიყალბის შეფასებებზე უარის თქმით ცდილობს ხელისუფლება, არ მიიღოს მონაწილეობა „ნაცმოძრაობის“ პიარაქციებში. ამასთან ერთად, მან სურვილიც კი გამოთქვა, რომ ოპოზიციის კრიტიკა უფრო საქმიანი იყოს.

**— გასაგებია, რომ ხელისუფლება „ოპოზიციის სიცრუის პროპაგანდაში აყოლას არ აპირებს“, მაგრამ პოლიტიკა მხოლოდ საჯარო სივრცეში კეთდება ხოლმე და ასე როგორ იქნება?**

— ხელისუფლებას მაინც მოუწევს საჯარო სივრცეში მონაწილეობა. ვიმეორებ, ეს უფრო ის ფორმულა იყო, რომელიც საზოგადოებისთვის მოწოდებას წააგავდა, ვიდრე — პოლიტიკურ ბრძოლაზე რეალურად უარის თქმას. თავის დროზე, „ნაცმოძრაობამ“ ანალოგიური მიზეზით უარი თქვა პოლიტიკურ ოპონენტებთან ნებისმიერ დიალოგზე. მაშინ ამით „ნაცმოძრაობამ“ წააგო. პინგ-პონგზე საუბარი ივანიშვილის მხრიდან უფრო დამოკიდებულების ჩვენება იყო, ვიდრე რეალურად ოპოზიციის ქმედება და შეფასებებზე უარის თქმა. არა მგონია, რომ „ნაცმოძრაობის“ შეცდომები, ანუ დიალოგზე პრინციპული უარი ივანიშვილმა გაიმეოროს. თუმცა, ისიც ცხადია, რომ კოალიცია „ნაცმოძრაობის“ ტყუილისა და სიცრუის შემცველ ინფორმაციებს ურეაქციოდ არ დატოვებს. მან საზოგადოებას მოუწოდა, მარტო მის სიტყვას არ ენდონ და თავად შეაფასონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. თუ საზოგადობამ თავად არ შეაფასა, რეალურად რა ხდება ქვეყანაში და შესაბამისი დასკვნები არ გააკეთა, იგი კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ტელევიზიის საშუალებით იოლი სამართავია, რაც ძალიან სამწუხარო იქნება.

**— ხელისუფლება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანაზე აქტიურად საუბრობდა და ამტკიცებდა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად პრობლემა არ შეექმნება. დავით საგანელიძისა და ივანიშვილის განცხადებები სხვა არაფერია, თუ არა საპარალამენტო ოპოზიციისთვის მორალურ-ზნეობრივი არჩევანის შეთავაზება. რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ ოპოზიცია ივანიშვილის შეგონებას შეისმენს და, თქვენი აზრით, საზოგადოება საკონსტიტუციო ცვლილებების მიუღებლობას ხელისუფლების სისუსტედ აღიქვამს თუ არა?**

— ფაქტია, რომ ივანიშვილი დამთმობი პოლიტიკოსი არ ჩანს. აღმოჩნდა, რომ მისთვის ოპოზიციასთან კომპრომისისთვის ოპოზიციის მხრიდან მოთხოვნების დაყენება მიუღებელი იყო. მას რომ ეთქვა, ოღონდ კონსტიტუციაში ცვლილებები მივიღოთ და დათმობებზე წავიდეთო, ეს მოსახლეობაში ამ ცვლილებებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას გააჩენდა. ასე რომ, საკონსტიტუციო ცვლილებებზე საზოგადოების მხრიდან ორ უარყოფით დამოკიდებულებას შორის ივანიშვილმა ბრძოლა არჩია და არა — კომპრომისი.

ჩვენ არ ვიცით, რა პროცესები მიდის პარლამენტის კულუარებში. არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილის მკაცრმა ტონმა ამ პროცესზე გარკვეული გავლენა იქონიოს და ამ შესწორების ავტორებს ის ხმები მისცეს, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად საჭიროა.

**— მერაბიშვილმა ხელისუფლების ცვლილება უკვე დააანონსა. ივანიშვილმა ექსპრემიერის მუქარაზე განაცხადა, რომ ქვეყანას ამ თვალსაზრისით საფრთხე არ ემუქრება. პრემიერ-მინისტრმა უგულავაზე განაცხადა, რომ იგი „მშიშარა კაცი აღმოჩნდა“ და დაწყებული გამოძიებების გამო ჩიხში აღმოჩენილ წინა ხელისუფლებას სხვა გზა არა აქვს, თუ არა ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე აპოკალიფსური სურათის დახატვა და მტკიცება, თითქოს ქვეყანა განსაცდელშია. თქვენი აზრით, რამდენად შეძლო პრემიერმა იმის ახსნა, რომ ქვეყანა არანაირი საფრთხის წინაშე არ დგას? და კიდევ, რამდენად დამაჯერებელი იყო წინა ხელისუფლების ქმედებების მოტივების დასაბუთებაში?**

— ივანიშვილმა თქვა, რომ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები პანიკაში არიან და მათ უნდათ, მთელი ქვეყანა ჩაითრიონ ამ პანიკურ განწყობილებებში. ალბათ მეტი დამაჯერებლობა სჭირდებოდა იმ არგუმენტებს, თუ რატომ არ არის ქვეყანა რეალური საფრთხის წინაშე. ჩემი აზრით, ამგვარი სიცხადე ივანიშვილის განმარტებას აშკარად არ ჰქონდა.

არავის არ უნდა „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე წყლის დასხმა და სწორედ ამიტომაა ბევრი ჩუმად. ივანიშვილმა ბრძანა, რომ სანამ „ნაცმოძრაობა“ ქვეყნისთვის სახიფათო რისკის ფაქტორად რჩება, იქამდე კოალიციის ერთიანობა უპირობოა. ხოლო როცა რისკის ფაქტორი მოიხსნება, იგი შემდეგ ვარაუდობს იმ სიტუაციის შექმნას, რომ ამ კოალიციიდან გაჩნდეს მრავალპარტიული სპექტრი.

**— რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე პრემიერ-მინისტრის მიერ უკანსაკნელ პერიოდში კოალიციის მომავალთან და ალასანიასთან დაკავშირებით გაკეთებულმა კომენტარებმა?**

— ამ შემთხვევაში განმეორდა ის, რაც ხშირად ისმის როგორც პოლიტიკურ კულუარებში, ისე ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს შორისაც. არავის არ უნდა „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე წყლის დასხმა და სწორედ ამიტომაა ბევრი ჩუმად. ივანიშვილმა ბრძანა, რომ სანამ „ნაცმოძრაობა“ ქვეყნისთვის სახიფათო რისკის ფაქტორად რჩება, იქამდე კოალიციის ერთიანობა უპირობოა. ხოლო როცა რისკის ფაქტორი მოიხსნება, იგი შემდეგ ვარაუდობს იმ სიტუაციის შექმნას, რომ ამ კოალიციიდან გაჩნდეს მრავალპარტიული სპექტრი.

**— როგორ შეაფასებდით ვიცე-პრემიერად გიორგი მარგველაშვილის დანიშვნის შესახებ პრემიერ-მინისტრის გაკეთებულ განცხადებას?**

— ეტყობა, ივანიშვილისთვის მისი პოლიტიკაში ყოფნის ამ პერიოდში მნიშვნელოვანია ის, რომ მას არ უნდა, პარტნიორებისგან სიურპრიზებს ელოდოს. ალასანიასთან გაუგებრობა, როგორც მან თავად დაარქვა, ერთ-ერთი მოულოდნელი სიურპრიზი იყო, რამაც შემდეგ ვიცე-პრემიერობის ვაკანსია გააჩინა. რაც შეეხება შემდეგ ამ ვაკანსიის შევსებას, ერთ-ერთი ნიშანი ის გახლდათ, რომ ივანიშვილი გიორგი მარგველაშვილისაგან ამ ტიპის სიურპრიზებსა და შეუთანხმებლობას ურთიერთობებში არ ელოდება. ამ თვალსაზრისით, მარგველაშვილი უაღრესად პატიოსანი ადამიანია და, როგორც ჩანს, ივანიშვილისთვის იყო ერთ-ერთი მოტივი ამ გადწყვეტილების მისაღებად.

**— 8 თებერვალს პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წარსდგენასთან დაკავშირებით დიდი მოლოდინები არსებობს. ეს მოლოდინი თავად პრეზიდენტმა თავისივე განცხადებებითა და დავით აღმაშენებლის დაბადების დღეს პარლამენტში მისვლის გადაწყვეტილებით გააჩინა. პრემიერმა თქვა, „არა გვგონია, რომ ეს დიდი მოვლენა იყოს,“ თუმცა იქვე დასძინა, რომ იგი თავად ინტერესით ელოდება ამ დღეს. თქვენი აზრით, როგორ ჩაივლის პრეზიდენტის პარლამენტში მოხსენება? და კიდევ, ხომ არ არსებობს ალბათობა, რომ ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისში იმაზე ადრე შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე ბევრი ექსპერტი კრიზისის დადგომას საქართველოში გაზაფხულზე ვარაუდობდა?**

— ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან ძალიან რთულია ჩვენი პრეზიდენტის ქცევის პროგნოზირება. შეიძლება მივიღოთ ძალიან ხავერდოვანი პრეზიდენტი, დაახლოებით ისეთი, კოჰაბიტაციის შუქურად რომ იყო ქცეული არჩევნების შემდეგ. თუ ასე იქნა, ეს სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება, მაგრამ უმრავლესი ჩვენგანი პარლამენტში სააკაშვილის შემდეგ ნერვიულ ატმოსფეროს ელოდება.

**— საზოგადოების ნერვიულობა იმასაც ხომ არ უკავშირდება, რომ წინა მოწვევის პარლამენტში პრეზიდენტმა ერთი ჯონდი ბაღათურია ვერ აიტანა და ახლანდელ პარლამენტში სულ მცირე 85 „ბაღათურია“ დახვდება?**

— შესაძლოა, იმის გამო, რომ ახლა პარლამენტში პრეზიდენტს 85 „ბაღათურია“ დახვდება, მან სტრატეგია იმ დღისთვის შეცვალოს და პარლამენტში ოპონენტებს ხავერდოვანი პოზიცია შესთავაზოს. ეს სულაც არ გამორიცხავს, რომ პარლამენტში გამოსვლის მეორე დღესვე იგი მოქმედების თავის ჩვეულ სტილს დაუბრუნდეს.

**კობა ბენდელიანი**

**ინფორმაცია**

## ვინ გაარემონტებს პარლამენტის შენობას?

**თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერით 20-მდე ორგანიზაცია დაინტერესდა.**

**როგორც პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილემ შოთა გოშაძემ აცნობა, 20-მდე ორგანიზაციის წარმომადგენელი მივიდა ადგილზე, დაათვალიერა პარლამენტის შენობა და გამოთქვა ტენდერში მონაწილეობის სურვილი.**

**საუბარია 1,5 მლნ ლარიან ტენდერზე, რომელზეც ოფიციალური წინადადებების მიღება 14 თებერვალს დაიწყება და 19 თებერვალს დასრულდება. ამის შემდეგ კი, გოშაძის განცხადებით, კონკურსში მონაწილეთა შორის ღია შეჯიბრი დაიწყება.**

**სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს გამოცხადდება რიგით მეორე ტენდერიც, რომელიც სხდომათა დარბაზების რეკონსტუქცია-რეაბილიტაციას შეეხება. დარბაზების პროექტზე კომპანია „ვერნიცკი და კომპანია“ მუშაობს, რომლსაც უპირატესობა კონკურსის წესით მიენიჭა. გოშაძის ცნობით, დარბაზების აღსადგენად დაახლოებით 5 მილიონია განსაზღვრული. აღდგება როგორც სასესიო, ასევე პირველი რესპუბლიკისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზები და მათთან ერთად ე.წ. კინოდარბაზი.**

**რაც შეეხება ამჟამად გამოცხადებულ ტენდერს, მასში გამარჯვებული ფირმა შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: ფირმის საერთო ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 3 მლნ. ლარი, ფირმამ უნდა წარმოადგინოს ორი დადებითი რეკომენდაცია შემსყიდველი ორგანიზაციებიდან, მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული მსგავს პროექტებში და შესაბამისად შესრულებული უნდა ჰქონდეს 100 ათას ლარიანი ხელშეკრულებები.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სათქმელი უნდა ითქვას

# ნაცებმა დენთის (ბუნტის) სუნი დაატრიალეს!

საააკაშვილის ხელისუფლების აწ უკვე „გამრუდებული ხერხემალი" ივანე მერაბიშვილი უცნაური პოლემიკის ნიჭით გამოირჩევა, შიგა და შიგ ისეთი ტრთოლვით და აღშფოთებით ლაპარაკობს ცხელ-ცხელ ტყუილებს, სერიოზულად დაგაფიქრებს კაცს, დავღუპულვართ და ეგ არიო!

თუმცაღა, პირველად მაშინ დაგვზაფრა შინაგან საქმეთა ახალბედა მინისტრმა, როცა ამ რვა წლის წინათ, 2005 წლის 3 თებერვალს, დილის 9 საათზე ელდასავით მოგვახალა: წუხელ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ბუნებრივი აირით გაიგუდა, მასთან ერთად დაიღუპა მისი მეგობარი რაულ უსუპოვიო...

ამბობენ, ამ მრავალმხრივ საეჭვო და ჯერაც გამოუძიებელი სიკვდილის ფაქტის ასე უთენია გამოცხადება ვანოს არ უნდოდა, მაგრამ მუდამ მოუთმენელმა და არაადეკვატურმა მიშა სააკაშვილმა დაავალაო.

აბა, მრისხანე მიშას სურვილს მაშინ წინ ვინ აღუდგებოდა.

გამოხდა ხანი... **ივანე მერაბიშვილი პირქუში, უთქმელი და „დიდი საქმის" მკეთებელი, ანუ პოლიციის რეფორმატორი მინისტრი გახდა.**

**რეფორმატორულმა პოლიციამ და ივანე მერაბიშვილმა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პარალელურად, საკუთარი ხალხის დაშინების, ოპოზიციურად განწყობილი პარტიებისა და მთელი მათი მხარდამჭერების, ბიზნესის და, უბრალოდ, საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეების დაშანტაჟების, ჩასაფრების, მუქარის, ცემა-ტყეპის ისეთი მეთოდები შეიმუშავეს, ხმას ვერავინ იღებდა... ჩვეულებრივი მოვლენა გახდა უდანაშაულო ბიჭების ბოლომდე გამეტების, დემონსტრანტთა დარბევის, წონიანი ოპონენტების განადგურების შემთხვევები. ციხეები გადაივსო პატიმრებით, მათ შორის პოლიტპატიმრებითაც...**



...როცა ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება" გამოვიდნენ, მიშას და ვანოს სასაცილოდ არ ყოფნიდათ „ვიღაც" ჭორვილელი მილიარდერის და მისი მრავალათასიანი თანამოაზრის პოლიტიკური ზმანებანი. განსაკუთრებით ნულოვანი ტოლერანტობით, უკადრისი სიცრუით და გულისამრევი ბაქიბუქით გამორჩეული პრეზიდენტი აქტიურობდა: **ამ მუმიებს, ჯოჯოებს, უბადრუკებს, ბოლომდე ჩარეცხილებს და სანაგვეზე გადასაყრელებს ისე დავცემთ ბეჭებზე, რომ ვერასოდეს ფეხზე ვერ წამოდგნენო!**

ავტოკრატმა და 2004 წლიდან კონსტიტუციაში ხალხის დაუკითხავად გაპარებული „უმტკივნეულო ცვლილებებით" დიქტატორად გადაქცეულმა მიხეილ სააკაშვილმა „ქართული ოცნებისადმი" ამერ-იმერის ერთსულოვანი მხარდაჭერა რომ დაინახა, ქვეყნის განვითარების ხერხემალი ვანო მერაბიშვილი პრემიერ-მინისტრად დააწინაურა და ქართული დემოკრატიის გადარჩენა დაავალა.

ჰოი, საოცრებავ! — პრემიერ-მინისტრად ხელდასხმულმა ვანომ უცებ ენა ამოიდგა, თითქოს გამართული ლაპარაკიც ისწავლა და... სოფელ-სოფელ ხალხის დაბოლება დაიწყო... დაბოლება კი დაიწყო, მაგრამ, გამოუცდელი და უსუსური პოლიტიკოსი ისე სწრაფად „გაიშიფრა", ლამის მთელი საქართველო ახარხარდა: **ივანე მერაბიშვილი თელავსა თუ გარდაბანში, გორსა თუ ხაშურში, თერჯოლასა თუ წყალტუბოში, ზუგდიდსა თუ ოზურგეთში აბსოლუტურად ერთი და იგივე ტექსტით ლაპარაკობდა და „საწყალი ხალხის" მოტყუებაში პრეზიდენტს ეჯიბრებოდა.**

ტელეჟურნალისტებმა დათვალეს და დააზუსტეს, რომ ივანე მერაბიშვილმა სულ მცირე 30 სოფელში გადმოაფრქვია ერთი და იგივე ნაციონალური სიბრძნე...

* * *

არჩევნებში ნაცებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა უღირსი ხერხი მაინც გამოიყენეს (გაიხსენეთ ხმების მიტაცების ფაქტები ხაშურში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში), მაგრამ სასურველ შედეგს ვერა და ვერ მიაღწიეს. თუმცაღა, ეს გაყალბება და მასობრივი შანტაჟი რომ არა, ნაცები ბარიერსაც ვერ გადალახავდნენ და ქვეყანა თავისუფლად ამოისუნთქავდა.

**...ქართველი ხალხის ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ნაცების ახალი გენერალური მდივანი ივანე მერაბიშვილი და წვრილფეხობა — გოკა გაბაშვილი, აკო მინაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, სერგო რატიანი, პალიკო კუბლაშვილი, აკაკი ბობოხიძე, დავით საყვარელიძე, ნუგზარ წიკლაური (ამ ბოლო დროს სტაბილური დემაგოგიით გამოირჩევა დავით ბაქრაძეც), ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ახალი მთავრობა, საპარლამენტო უმრავლესობა და, რაც მთავარია, ქართველი ხალხი კიდევ უფრო დაჰყონ-დაქსაქსონ, მუდამ მოჩვენებითი, მატყუარა და ოქრო-ვერცხლს დახარბებული ზოგიერთი დასავლელი დიპლომატი მიიმხრონ, ცალკეული არაფრისმაქნისი საერთაშორისო ორგანიზაციები გააცუცურაკონ, მიშას „დიდ დემოკრატობანაში" დაარწმუნონ და... „ქართული ოცნება" ხელის ერთი მოსმით მოსრან!**

სწორედ უმრავლესობის მოსრვა-დამხობისკენ მოწოდება იყო ივანე მერაბიშვილის აბსოლუტურად გაუაზრებელი წამოძახილი: **ჩვენ 4 წელიწადს ვერ დაველოდებით და გულმშვიდად ვერ ვუმზერთ, როგორ სუსტდება და ინგრევა ქვეყანაო!**

ჩასაფრებული ნაციონალის და არა ოდნავ მაინც ღირებული პოლიტიკოსის განცხადება იყო „ნახერხემლარ" ვანოს გუშინწინდელი მიგნებაც: **პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი ხალხს ატყუებს, თითქოს დანაპირები შეგისრულეთო! სინამდვილეში კი კრიმინალური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, ეკონომიკა ჩამოიშალა, არნახული მასშტაბი მიიღო ოპონენტთა რეპრესიებმა და... როცა გაიაფებაზე ლაპარაკობს ივანიშვილი, თუ რაიმე გაიაფდა საქართველოში, ეს ნარკოტიკებია, რადგანაც ქუჩები და სადარბაზოები გაივსო შპრიცებითო!..**

შემდეგ მერაბიშვილი თავისი „მამა-მარჩენალის" მიშა სააკაშვილის სტილში იმუქრება და ამბობს: **ივანიშვილი გაბრაზებულია, თუმცაღა, ჩვენ მისი მუქარა ვერ შეგვაშინებს და ხელს ვერ აგვაღებინებს განზრახვაზე, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ და ივანიშვილის დიქტატურისგან ვიხსნათ!..**

აი, ძვირფასო მკითხველო, ერი და ბერი ისევ რატომ აირია! ჩვენ რომ გვეგონა, ნაციონალების ხროვა მოვიშორეთ, ხალხს სახეზე ღიმილი, რწმენა და იმედი დაუბრუნდაო, აბა ერთი ვადაგასულ მაგრამ ბოლომდე მოძალადე მიხეილ სააკაშვილს და მის საფლავში ჩამყოლ ივანე მერაბიშვილს ჰკითხეთ! ბიჭები იხტიბარს არ იტეხენ, გალმა-გამოღმა გვედავებიან და აშკარა სამოქალაქო დაპირისპირებისკენ გვიბიძგებენ.

**ყოველგვარი უზნეობის ჩამდენი ნაციონალები ქვეყნის მოუშორებელი ჭირია. ამიტომ, პარლამენტის უმრავლესობა და ახალი ხელისუფლება, უპირველეს ყოვლისა, საიმისოდ უნდა ირჯებოდეს, რომ ყველა იურიდიული და ზნეობრივი ნორმის დაცვით ქვეყნის დამაქცევართა პარტია თუ მოძრაობა გაუქმდეს და სამუდამოდ აიკრძალოს.**

5 თებერვლის პრესკონფერენციაზე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაცების მიმართ მორიგი (ზოგჯერ მუქარანარევი) შეგონებანი ისეთივე წყლის ნაყვაა, როგორც ვანო მერაბიშვილის პოლიციის და, ზოგადად, ჩვენი სოფლის მეურნეობის დიდ რეფორმატორად და კარგ მენეჯერად წარმოჩენა. არც გუშინდელი და მომავალი საპარლამენტო დებატები შეცვლის რამეს სასიკეთოდ. ნაცები სახალხო ბუნტს ამზადებენ, ეს კი ერის კიდევ ერთი დიდი სირცხვილი იქნება!

ისე, ბოლოდროინდელი ფსიქოლოგიური სტრესი და დაუმთავრებელი საინფორმაციო ომი, ურთიერთდაპირისპირება და ლანძღვა-გინება სახალხო ბუნტზე ნაკლები სულაც არ არის!

**გუშინდელი საპარლამენტო სხდომა ამის დასტური იყო! სანამ გავუძლებთ ამას?!**

**სპარტაკ ქობულია**

ალიან-ჩალიანი

## მიშა თბილისის ზღვაზე ათასობით ჩინელის ჩამოსახლებას აპირებს

„ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია იმ ვიდეომასალას ავრცელებს, რომელზეც თბილისის ზღვაზე ჩინური დასახლების პროექტი და შესაბამისი სარეკლამო რგოლია ასახული.

ჯონდი ბაღათურიას ინფორმაციით, წინა ხელისუფლებამ 2012 წელს ფარული ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც თბილისის ზღვის მიმდებარედ ჩინური ქალაქის მშენებლობას და 127 ათასი ჩინელის ჩამოსახლებას ითვალისწინებს.

ბაღათურიას მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალა ჩინურ ენაზეა. მისივე ინფორმაციით, 10-წუთიანი ვიდეოკლიპი ჩინეთის ტელევიზიებით უკვე გადის და მოსახლეობას საქართველოს შესახებ უამბობს. ვიდეომასალაში ასევე დეტალურადაა აღწერილი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია და პროექტი, თუ როგორი უნდა იყოს აღნიშნული ტერიტორია ჩინელების ჩამოსახლების შემთხვევაში. ბაღათურიას თქმით, კლიპში ასევე ჩანს, ხელშეკრულების გაფორმების პროცესი, რომელსაც პრეზიდენტიც ესწრება. „ქართული დასის" ლიდერი არ აკონკრეტებს, თუ ვინ მიაწოდა მას ვიდეომასალა.

— მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილის, ვანო მერაბიშვილის, ცეზარ ჩოჩელის, გიორგი ქადაგიძის, გიგი უგულავასა და ვერა ქობალიას მიერ გაფორმდა ფარული ხელშეკრულება, რომელიც საქართველოში 127 ათასი ჩინელის ჩამოსახლებას ითვალისწინებს. ფარულად გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თბილისის ზღვასა და მცხეთა-მთიანეთის უზარმაზარი ტერიტორიები გადაეცათ ჩინეთის მოქალაქეებს და იგეგმება, ჩინური სოფლების აშენება. ჩამოსახლებულ ჩინელებს კი აძლევენ ორმაგ მოქალაქეობას, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ბაღათურიას თქმით, მიუხედავად იმისა რომ ამ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა, საქართველოს სერიოზული ჯარიმა დაეკისროს, ხელშეკრულება უნდა შეწყდეს. მისივე განცხადებით, აუცილებელია ამ საკითხით პროკურატურა დაინტერესდეს და სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

## პარლამენტარები თავიანთ ნებაზე ვეღარ ჩაიცვამენ

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ბიძინა გუჯაბიძე ითხოვს, დეპუტატებმა „საპროტოკოლო-საქმიანად ან ეროვნულად" ჩაიცვან .

გუჯაბიძემ პარლამენტართა ჩაცმულობის წესის შესახებ რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტიც მოამზადა.

დეპუტატის მიერ მომზადებული პროექტით, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჩაცმულობა საპროტოკოლო-საქმიანი ან ეროვნული უნდა იყოს. კანონპროექტის ავტორის განმარტებით, ცვლილებების მომზადების მიზანი ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და პოპულარიზაციაა.

ბიძინა გუჯაბიძის კანონპროექტის ინიცირება ბიუროს სხდომაზე უკვე მოხდა.

## რა დაუჯდათ საახალწლო ნაძვის ხე ხობელებს?

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო - ზემო სვანეთის სამმართველოს თანამშრომლებმა სახელმწიფო თანხების მითვისების ფაქტზე ხობის გამგეობის მიერ დაფუძნებული შპს-ს „ხობის დასუფთავება და განათება" დირექტორი ნუკრი წოწონავა დააკავეს.

— გამოძიებით დადგინდა, რომ წოწონავამ საახალწლო ნაძვის ხის და განათების აქსესუარების შეძენის მიზნით, ინდმეწარმე „დავით ადონიასთან" გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ბიუჯეტიდან 21 731 ლარით დაფინანსებას ითვალისწინებდა. წინასწარი გარიგების საფუძველზე ი.მ. „დავით ადონიამ" გახარჯა 13 731 ლარი, ხოლო დარჩენილი 8 000 ლარი გადასცა ნ. წოწონავას. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ბრალდებულს აღნიშნულ ხელშეკრულებაში ხარჯთაღრიცხვა ხელოვნურად ჰქონდა გაზრდილი, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

ოფიციალური ინფორმაციით, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

## სამხედრო მოსამსახურეთა ასაკი გაიზარდა

შტატგარეშე მოსამსახურეების გარდა, საჯარო სამსახურში ყოფნის, ან მიღების ასაკობრივი ცენზი 65 წლით განისაზღვრება. შესაბამისი ცვლილება „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში შედის, რომელიც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა მოამზადა.

როგორც კანონპროექტის ავტორი განმარტავს, ცვლილებების მომზადების მიზეზია ის, რომ კანონის 50-ე მუხლი არ იძლევა საჯარო სამსახურში შტატგარეშედ 65 წლის ასაკიდან გამოცდილი და კვალიფიციური კადრების მიღების შესაძლებლობას.

შესაბამისად, კანონში დამატება შედის, რომლის მიხედვით, სამსახურში ყოფნის, ან მიღების ზღვრული ასაკი 65 წლით განისაზღვრება, ხოლო მოსამსახურე პენსიაში კანონმდებლობით დადგენილი წესით გადის. კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია. მისი ავტორი დავით ონოფრიშვილი საკითხის დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვს.

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ქართული „დემოკრატიის“ ზეობა

**გასული კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა საზოგადოებრივი ტრანსპორტი და, აქედან გამომდინარე, პრობლემები იყო. სამარშრუტო ტაქსების გაფიცვამ თავიდან ბოლომდე გააშიშვლა საკითხი, რომელსაც საარჩევნო „დემოკრატია“ ჰქვია. სამარშრუტო ტაქსებისა და მერის დაპირისპირება ცხოვრებისეული სავალალო ნიუანსია, თანაც ისეთი, კერძო მესაკუთრისა და მერიის მტაცებლურ, მომხვეჭელურ ბუნებას რომ მთელი სიგრძე-სიგანით გვიჩვენებს.**

„არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“, — გვეუბნება ქართული ანდაზა და ცხოვრებისეული ფაქტებით გვიმტკიცებს, რომ „დემოკრატია“ საქართველოში ჯერჯერობით მჟავე ხილია. ქართული მენტალიტეტი, რომ შორს არის მისგან, არაერთხელ გამოჩნდა ოცწლიანი თავისუფლების დროს. სიტყვიერი დემოკრატიის ზეობას ვეზიარეთ ამ ოცი წლიდან ბოლო ცხრა წელიწადში. და არა მარტო ვეზიარეთ, როგორც ნაციონალები და მათი დასავლელი აღმზრდელები გვიმტკიცებენ, სისხლხორცეულად შევითვისეთ კაცობრიობის მონაპოვარი.

რა არ ითქვა ამ ცხრა წლის განმავლობაში ქართველთა უზომო დემოკრატიულობის თაობაზე, მათი ლიდერის დემოკრატიის შუქურობაზე, იმაზე, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა და ა.შ. მაგრამ შეიძლება უსაძირკვლოდ დემოკრატიის აშენება? შეიძლება, რომ ზემოდან წამოსულმა დემოკრატიამ ისეთივე ნაყოფი გამოისხას, როგორც ბუნებრივმა?

ბოლო მოვლენებმა გამოავლინა, რომ ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული, დაძალებული დემოკრატია უმწიფარი ხილივითაა და მას არაფერი აქვს საერთო არც დასავლურ და არც აღმოსავლურ დემოკრატიასთან. ძალით გადემოკრატება შეუძლებელია და რაც არ უნდა ამტკიცონ არასამთავრობოებმა — საქართველო დემოკრატიის აკვანიაო, შედეგი სავალალოა. „ოკეანედალეულმა“ არასამთავრობოებმა უნდა ამტკიცონ, რომ ბოლო ცხრა წელიწადში საქართველო „დემოკრატიის“ ნაკრძალად იქცა. მათ ასე უნდა თქვან და ამით გაამართლონ ამერიკელთა და სხვა გადამთიელთა მიერ მათზე დახარჯული ათასების ეფექტიანობა.

**იქ „გამოტრენინგებული“ ენჯეოების მთავარი დავალება ხომ ხალხის „გამოტრენინგებაა“. გაწვრთნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, რაც მათ და ნაცურმა ხელისუფლებამ მოახერხეს, გამოთაყვანებაა. დემოკრატიანაზიარები საქართველო ისეთივე დემოკრატიულია, როგორც ავღანეთი ან რომელიმე მსგავსი აფრიკული ქვეყანა. ნაცური ბანდისთვის კი „დემოკრატია“ საბურთაო სიტყვაა მხოლოდ ქვემდგომთა შესასრულებელი. ასე და ამრიგად ნაცებმა შექმნეს დემოკრატია, თავისებური, მჟავე და სხვათათვის მიუღებელი.**

ქართულ, მითუმეტეს ნაცურ დემოკრატიას არაფერი ესაქმება ნამდვილ, დასავლურ დემოკრატიასთან, რაც გასაკვირი არ არის. დედამიწის ზურგზე იშვიათად თუ იპოვით ქვეყანას, რომელიც თავს დემოკრატიულს არ უწოდებდეს. ყველას თავისი დემოკრატია აქვს. ყველა იმის მტკიცებაშია, რომ მათი დემოკრატია სჯობია სხვისას. ასეა საქართველოც.

მაგალითად, ამერიკელები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ მათი დემოკრატია გაცილებით ხარისხიანია, ვიდრე ევროპული ან აზიური. ევროპელები კი თვლიან, რომ ისინი უფრო დემოკრატიულები არიან ამერიკელებზე. ორივენი ერთად აძაგებენ რუსულ დემოკრატიას, უფრო სწორად, ანტიდემოკრატიულობას. დასავლეთი, დემოკრატიის უქონლობის გამო, აკრიტიკებს ჩინეთს, ირანს, სხვებს და აქებს საქართველოს. გახსოვთ ამერიკელი სენატორის მაკკეინის „მამაშვილური“ რჩევა რუსეთის ხელისუფლებისთვის - დემოკრატია საქართველოდან ისწავლეთო.

> **რა არ ითქვა ამ ცხრა წლის განმავლობაში ქართველთა უზომო დემოკრატიულობის თაობაზე, მათი ლიდერის დემოკრატიის შუქურობაზე, იმაზე, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა და ა.შ. მაგრამ შეიძლება უსაძირკვლოდ დემოკრატიის აშენება? შეიძლება, რომ ზემოდან წამოსულმა დემოკრატიამ ისეთივე ნაყოფი გამოისხას, როგორც ბუნებრივმა?**

ევროატლანტიკური სივრცე წიხლავს რუსეთს, ჩინეთს, ირანს, სხვებს არადემოკრატიული საზოგადოების შექმნისთვის. ეს უკანასკნელნი კი ევროატლანტიკურ სივრცეს — მიკერძოებისთვის, ორმაგი სტანდარტებისთვის, შერჩევითი დემოკრატიისთვის და ა.შ. აშშ-ის ადმინისტრაცია დღესაც აკრიტიკებს რუსეთს არადემოკრატიული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის. აქებს საქართველოს ნაცურ ხელისუფლებას ნამდვილი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის.

**და საქართველოს სჯერა, რომ ეს ასეა. რაც მთავარია, იმ დასავლეთსაც სჯერა, რომ ასეა. არადა ობიექტურობის გრძნობამ თუ არ გვიღალატა, უმალ დავინახავთ, რა მძიმე, დანაშაულებრივი ვითარება იყო საარჩევნო მარათონის პერიოდში. მსგავსი რომ ყოფილიყო რუსეთში ან ბელორუსში, ამერიკელ პოლიტიკოსებს რა დააკავებდა?**

არადა, სიმართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გამოყენებული უნიკალური ხმის მიცემის ელექტრონული სისტემა გაცილებით სამართლიანი და გამჭვირვალეა, ვიდრე ამერიკული საარჩევნო სისტემა.

არის თუ არა ამერიკული არჩევნები დემოკრატიული, საერთაშორისო დამკვირვებლებმა უნდა შეაფასონ. მსგავსი რამ ამერიკამ მხოლოდ ბოლო წლებში დაუშვა და ისიც ზედაპირულად. როგორც ვიცით, იქ ყველა შტატს თავისი წესი აქვს და, ვაშინგტონიც რომ „ჩაერიოს“, ის ამ წესს არ შეცვლის. იქ საერთაშორისო დამკვირვებლებს არათუ საარჩევნო უბანზე დაუშვებენ, არამედ თვალსაწიერზეც კი არ გააჭაჭანებდნენ. და ასეთი „დახვეწილი“ საარჩევნო სისტემის, ანუ დემოკრატიის ქვეყანა სხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით დსთ-ს სივრცეში, მიმდინარე არჩევნებს აკონტროლებს, თანაც „ავტორიტეტულად“ აფასებს არჩევნების ავკარგიანობას.

რა გაეწყობა, დიდმა ქვეყანამ მიითვისა „დემოკრატიის“ ბარომეტრობა და, სურვილისდამიხედვით, ჭრის და კერავს. ამ ჭრა-კერვაში მასზე შეყვარებულ საქართველოს „დემოკრატიის“ ტანსაცმელი შეუკერა, რითაც ისე გაათავხედა ნაცური ხელისუფლება, რომ თავი მართლაც დემოკრატად აგრძნობინა. აქაოდა, ვაშინგტონის ნაქები, ნამდვილი დემოკრატები ვართო. ციხეები პოლიტპატიმრებით გაავსეს, შებრუნებული სიტყვისთვის სამსახურებიდან დაითხოვეს „ქვეშევრდომი“ საქართველო, მასმედია სალაღობო შოუებით გამოტენეს — საამური ცხოვრებაა დემოკრატიულ საქართველოშიო.

**დასავლეთიც პირმცინარი შეჰხაროდა სანაქებო ქართულ, ანუ ნაცურ დემოკრატიას — ეს რა ვნახეთო, დროის მცირე მონაკვეთში მსგავსი ფერიცვალება დაუჯერებელიაო, მხოლოდ სააკაშვილის სიბრძნე და შემართება თუ მოახერხებდა ამასო და ა.შ. რა პოლიტპატიმრები, რის პოლიტპატიმრები, სააკაშვილმა გამოუსწორებელი კრიმინალები ჩაყარა ციხეებში.**

სინამდვილე კი სხვა იყო და ამ სინამდვილეს საქართველოში არსებული არც ერთი დასავლური საელჩო არ ამჩნევდა. საქართველოს ციხეები პოლიტპატიმრებით იყო გადაჭედილი, მაგრამ უცხოური დიპლომატიური მისია დუმდა, მაშინ, როდესაც რუსეთსა და ჩინეთში თითო-ოროლა ე.წ. პოლიტპატიმარზე სახეს იხოკავდა. რა გაეწყობა, ამერიკისთვის რუსეთჩინეთი პოტენციური მეტოქეებია, საქართველო კი ნაშვილები ქვეყანა, რუსეთის გამაღიზიანებელი დავალებით.



ამერიკელთა წყალობით საქართველომ ვერც დემოკრატია ააშენა და ვერც ქვეყანა. სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემა, რომელიც მან ამერიკელების უშუალო მონაწილეობით ააგო, მიუსადაგებელია ქართულ მენტალიტეტთან და როდესაც ლაპარაკია სააკაშვილის გადაყენებაზე, პარალელურად უნდა იყოს მოთხოვნა ჩანერგილი ამერიკული სახელმწიფო სისტემის გაუქმებაზე.

**სახელმწიფო მართვის სისტემა და, აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა აქ უნდა შეიქმნას, ქართული მენტალიტეტის, ცხოვრების წესის, ისტორიის, ტრადიციების გათვალისწინებით და არ უნდა მოდიოდეს სხვა ქვეყნიდან, თუნდაც ამერიკიდან. ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკული სისტემა სპეციალურად საქართველოსთვის არ არის გამიზნული, უბრალო ტრაფარეტია ნებისმიერი აფრიკული სახელმწიფოსთვის.**

**როგორც ზემოთ აღვნიშნე, საქართველომ ვერც დემოკრატია შექმნა და ვერც ასატანი სოციალური ყოფა. ის, რაც მან მოახერხა, სიცრუე, ხელისუფლების მიერ ხალხის ჩაგვრა, საყოველთაო შიშის ფაქტორის დამკვიდრებაა.**

საზოგადოებას კარგად ახსოვს მატრაკვეცა ოპოზიციონერების დაბეჯითებული მოთხოვნა - ყველა დონის არჩევნების ჩატარებაზე, მათ უსაფუძვლო იმედი ჰქონდათ გამარჯვებისა. მწარედ შეცდნენ, ვერ მიხვდნენ, რომ სააკაშვილი არც ერთ რგოლს არ დათმობდა.

ნაცებმა გაითვალისწინეს ოპოზიციის თხოვნა - დასავლეთსაც თვალში ნაცარი შეაყარეს. იმანაც უმტკივნეულოდ მიიღო ყოველივე, რამეთუ ერთობლივი პროპაგანდის ნაყოფი იყო და დაინიშნა ყველა დონის, მათ შორის ქალაქების მერების არჩევნები. ეჭვი არავის ეპარებოდა ნაცთა გამარჯვებაში. მათ გამარჯვებაც იზეიმეს და ადგილობრივ ხელისუფლებაში სამარადისო ყოფნის გეგმაც დასახეს. შემთხვევით არ გაუმართლდათ, თორემ დღესაც ნაცთა ზეობა იქნებოდა.

> **სახელმწიფო მართვის სისტემა და, აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა აქ უნდა შეიქმნას, ქართული მენტალიტეტის, ცხოვრების წესის, ისტორიის, ტრადიციების გათვალისწინებით და არ უნდა მოდიოდეს სხვა ქვეყნიდან, თუნდაც ამერიკიდან. ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკული სისტემა სპეციალურად საქართველოსთვის არ არის გამიზნული, უბრალო ტრაფარეტია ნებისმიერი აფრიკული სახელმწიფოსთვის.**

საპარლამენტო არჩევნებმა წყალი შეუყენა ნაცებსა და მათ გეგმებს, თუმცა ადგილობრივ დონეზე ძვრა ვერ უყო. ნირწამხდარი ნაცები, იხტიბარს არ იტეხენ და იმის ნაცვლად, რომ საქმე აკეთონ, კრიჭაში უდგანან ახალ მთავრობას. სამაგალითოდ თბილისის მერიაც კმარა. მან და მისმა თავმა კარგა ხანია დაივიწყეს პირდაპირი მოვალეობა — ქალაქის მოვლა და ხელისუფლების კრიტიკაზე გადავიდნენ. ჩაოხრებული ქალაქი მეურნე მერის ხელს მოითხოვს. მერი კი ნაცვლად დაკისრებული მოვალეობისა, პოლიტიკური განცხადებებით ირთობს თავს.

„არჩეული“ მერი არავის ეპუება, მით უმეტეს ივანიშვილის მთავრობას. მერი სხვა პარტიისაა, ანუ ოპოზიციაში მყოფი ნაცების. ამდენად მისთვის არაფერს ნიშნავს სამარშრუტო ტაქსების გაფიცვა, უტრანსპორტობით გამოწვეული თბილისელთა დისკომფორტი. ერთ კვირაზე მეტი მიმდინარეობდა გაფიცვა, მაგრამ მძღოლთა სამართლიან მოთხოვნებს საშველი არ დაადგა ერთი მიზეზის გამო - ჭარბ ჭამას მიჩვეული მერი ვერაფრით დასჯერდა მძღოლთათვის შეწერილი ულუფის შემცირებას. მას არ აღელვებს თბილისელთა გაძაღლებული გადაადგილება, არც ის, რომ აუტანელი მგზავრობით დატანჯული ადამიანების შრომის ნაყოფიერება ნულის ტოლია.

**რას აკეთებდა მთავრობა? აკადემიური სიმშვიდით შეჰყურებდა თბილისელთა ტანჯვას. მან ვერაფერი მოუხერხა „არჩეულ“ მერს. ესეც თქვენი დემოკრატია! არჩეული, მაგრამ სხვა პარტიის წარმომადგენელი მერი პრობლემად ექცა არა მარტო მმართველ მთავრობას, არამედ ამომრჩევლს და ეს იმიტომ, რომ „არჩეული“ მერი თავის ამომრჩეველს მონად მიიჩნევს.**

საპარლამენტო არჩევნების სამი თვის თავზე აშკარად გამოჩნდა მერის არჩევნების შეუთავსებლობა ქართულ მენტალიტეტთან. საქართველო მზად არ არის ყველა დონის არჩევნებისთვის. **მერი უნდა ინიშნებოდეს. მისი მთავარი მოვალეობა, ისე, როგორც ნებისმიერი მოხელისა, ხელდაკაპიწებული შრომა უნდა იყოს და არა პოლიტიკური ლაქლაქი, მით უმეტეს ისეთ ქალაქში, როგორიც თბილისია — სადაც ქალაქის მეურნეობის ნებისმიერი რგოლი მოშლილია.**

სხვას რომ თავი დავანებოთ, ვილაპარაკოთ სატრანსპორტო მომსახურებაზე. მომსახურებას ვამბობ, თორემ იმას, რაც ამ დარგში ხდება, მომსახურება არ ჰქვია. კომფორტზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ჯერ იყო და ამორტიზებული ჰოლანდიური ავტობუსებით აავსეს თბილისის ქუჩები, შემდეგ, როდესაც ყველამ ერთად სული განუტევა, ახალი, მაგრამ ერთობ არაკომფორტული უკრაინული ავტობუსებით ჩაანაცვლეს ისინი. საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ განახლება არ ჩანს. უკვე მორყეული, მოჯაყჯაყე, მინაჩამტვრეული ავტობუსები რის ვაი-ვაგლახით დადიან ქუჩებში.

მერიამ ისიც ვერ მოიფიქრა, ავტობუსებისთვის, გარდა საქარე მინისა, სხვაგანაც გაეკეთებინა ნომრები. რაც მოახერხა, მორბენალი რეკლამაა, ანუ სარეკლამო დოლბანდში გახვეული ავტობუსები.

კერძო ავტომანქანებით გადატვირთული ქალაქისთვის ერთადერთი გზა განტვირთვისა საქალაქო ტრანსპორტის განვითარებაა.

სუფთა, გამართული, ზუსტად მომუშავე საქალაქო ტრანსპორტი თუ მიიზიდავს კერძო ტრანსპორტის მფლობელებს, ისე, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია.

თბილისის მერი კი დიდი პოლიტიკითაა დაკავებული. ის პოლიტიკოსია და თავისუფალ დროს მერობით იქცევს თავს. მერი არჩეულია და ასეთს ბუზსაც ვერ აუფრენ. რა გაეწყობა, ასეთია ქართული „დემოკრატია“.

განუკითხაობის, სახელმწიფო ქონების ქურდობის აშკარა მაგალითია „არჩეული“ მერის მიერ 740 ნაცი აქტივისტის, მათ შორის კოორდინატორებისთვის, მერიის სხვადასხვა სამსახურში გაფორმება — არა მუშაობისთვის, არამედ ხელფასის მიღებისთვის. საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებული ნაციონალებისთვის სერიოზული პრობლემა გახდა მხარდამჭერთა დასაქმება. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, „ნაცთა“ ლიდერმა და მისმა კორუმპირებულმა წრემ გადაწყვიტეს საკუთარი მხარდამჭერების იმ რგოლებში გაფორმება, რომლებიც ჯერჯერობით მათ ხელშია. ამ მხრივ თბილისის მერიის სამსახურები შესანიშნავი ნავსაყუდელია.

**თბილისის მერის დანაშაული აშკარაა და არა მარტო მისი, არამედ ნაცი პრეზიდენტის, ნაცი საპარლამენტო უმცირესობის, სხვა ბობოლა ნაცების. ნაცთა წაგებამ გამოავლინა დანაშაული, რომელსაც ფართო საზოგადოება ვერც ვერასდროს გაიგებდა, მათი გამარჯვების შემთხვევაში.**

„არჩეულმა“ მერმა, ნაცვლად ბოდიშის მოხდისა, უკმეხად განაცხადა — დიდი სიამოვნებით ყველას დავასაქმებდიო, თითქოს თბილისი მისი კერძო დუქანი იყოს. არადა კაცმა რომ თქვას, არ არის თბილისი უგულავას დუქანი? არის და მერე როგორი. თუ 9 წლის განმავლობაში საქართველო იყო სააკაშვილის დუქანი, რა დააშავა უგულავამ? ისიც ხომ არჩეულია?

ასე იცის დემოკრატიულ არჩევნებთან კეკლუცობამ. არ არის საქართველო იმ დონეზე, რომ მერების არჩევნები ჩაატაროს. დანიშნული მერი უფრო მორჩილი იქნებოდა და თუ არა, მისი დათხოვნა ჩვეულებრივად მოხდებოდა, როგორც ნებისმიერი მოხელის.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის გაფლანგვის დანაშაული არა მარტო მერის კისერზეა, არამედ ყველა იმ 740 კაცის, ვინც დედის რძესავით შეირგო ხალხისთვის წართმული ფული. არადა, რამდენი ასეთი მოხდა 9 წლის განმავლობაში? თითქმის შვიდასი ათასი ლარი დაიხარჯა ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი „გულშემატკივრის“ მივლინებაზე. მშრომელი ადამიანის ფული იხარჯებოდა კიკაბიძე-ბრეგვაძის უცხოურ გასტროლებზე. ამ პატივისცემის შემდეგ კიკაბიძე სააკაშვილს რომ დავით აღმაშენებელს შეადარებდა, გასაკვირი იყო? მიკვირს, რომ ნაპოლეონს არ შეადარა.

**აი ასე ხარობდნენ, უფრო სწორად „გულაობდნენ“ ერთ მუშტად შეკრული ერი და ბერი. ისე, ბერებმაც „იგულავეს“ სახელმწიფო ხაზინიდან შეძენილი ჯიპებით. ის, რაც უგულავამ ჩაიდინა — დანაშაულია, მაგრამ მიიღებს ის შესაბამის სასჯელს? ახალი ხელისუფლების შემხედვარე, ძნელად დასაჯერებელია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ყურადღება, ახტუნგ, ხალხო, ხვლიკი ისევ შედგა კუდზე!..

**ჯერ თუ მთლად კარგად ვერ შედგა, სოროდან ნამდვილად გამოხოხდა და იმავე საღამოს (???) მოგვევლინა რუსთავი-2-ის (!!!) ეთერით... გიორგი თარგამაძე, რომელსაც ისე ზუსტად მოერგო და ისე მყარად მიეწება ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ „დაპატენტებული“ მეტსახელი, რომ, როგორც იტყვიან, ბავშვმაც კი იცის, თუ ვინ არის „ჰალსტუხიანი ხვლიკი“...**

არადა, რა მიამიტურად გვეგონა, რომ 1 ოქტომბერს, მეცოცხეებთან ერთად, წლების მანძილზე ნაციონალების აშკარა თუ ფარული სატელიტი ოპოზიციური პარტიებიც გავუყენეთ პოლიტიკური საიქიოს გზას, მაგრამ დღეს, მეოცნებეთა მმართველობიდან „საკრალური“ 100 დღის შემდეგ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ პრინციპში, „воз и нынче там“ — ისევ გვიშლიან ნერვებს ძველი თუ ახალი „ნაც-როჟები“ და ისევ გარიტორდნენ ე.წ. „კვალიფიკაციური ოპოზიციონერები“ და ამ ჯოჯოხეთს ერთის სისინიღა აკლდაო, ჰალსტუხიანი ხვლიკიც გამოსრიალდა...

თუმცა, მანამდე სხვა რელიქტებმა ამოიღეს ხმა — ჯერ ახალი მემარჯვენე — ძველი პოლიტიკური შულერები გამოფხიზლდნენ, შემდეგ დუშეთის მთებიდან გაისმა ქართული დემოკრატიის მოდარაჯე ლეიბ-ცერბერის ღმუილი და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიღვიძა ჰალსტუხიანმა რეპტილიამ!

თუმცა, ეს სამივე „ოპოზიცია“ თითქოს სხვადასხვა მეთოდებით მოქმედებს. გნებავთ, სხვადასხვა ხმაზე მღერიან (ახლები სამი სათითით, ბაზრის თაღლითებივით კომბინირებენ, შალიკო წკავწკავებს, ხოლო ხვლიკი კვლავ კუდზე შედგომას ლამობს), ერთი თვისებით ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს — სამშობლოზე მზრუნველ რაინდობაზე ერთნაირად აცხადებენ პრეტენზიას და კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ სამივენი აღარსად ჩანდნენ, გამოჩენისთანავე სამივეს მზად დახვდათ (???) „რუსთავი-2“ თუ „საზმაუწყის“ აშკარად პრონაცური პირდაპირი ეთერები და, სავარაუდოდ, მომავალში, არც „თავისუფალი“ ტელევიზიები დასწყვეტენ ამ მხრივ გულს!

მაგრამ, მოდით, ყველა-ყველაფერზე ცალ-ცალკე და გამოწვლილვით...

### ახლები, ანუ „ზოგი კაცი კაცი არის, ზოგი კიდევ კაციტაძე“...

**ეს ის პოლიტიკური ძალაა, რომელიც ბატონ ედუარდ შევარდნაძის პატრონატით შეიქმნა და მანვე დააფრთიანა გაპოლიტიკოსებული ბიზნესმენები. მიუხედავად ამისა, მოკლე ხანში ვითომდაც ოპოზიციაში ჩაუდგნენ მამა-მარჩენალს. სინამდვილეში კი, წარმატებით ბიზნესმენობდნენ პოლიტიკაში და პირიქით პოლიტიკოსობდნენ ბიზნესში, ანუ, შევარდნაძის „კრიშის“ ქვეშ შავი დედალივით გაკეთდნენ — ეს რომ ასე იყო, სხვა რომ არაფერი, „ალდაგიც“ კმარა ამის საბუთად.**

ახლებმავე შეუვსეს ვარდების რევოლუციის დღეს კვორუმი შევარდნაძეს და ის



ზღაპრები რომ იცოდნენ, რა დამანგრეველი ძალა მოდიოდა ნაცების სახით, ბებია ელპიტეს მოუყვნენ, რადგანაც, არც მიშასთან იყვნენ უმძრახად. ეგეც იქით იყოს და, დათო გამყრელიძე იყო პირველი, ვინც აგვისტოს ომის შემდეგ, იმის მაგივრად, რომ „ყელში წვდომოდნენ“ და ბოლომდე მოეხრჩოთ, მორატორიუმი გამოუცხადეს მიშას. და ეს რომ „სახელმწიფოებრივი აზროვნებით“ გააკეთეს, ის „პარაშაც“ ბებია ელპიტეს მიართვან!

მორატორიუმის შემდეგაც ფარულად იღვაწეს მიშას ფაშისტური რეჟიმის გამაგრებისთვის — ჯერ 2009-ში აზვირთებული საპროტესტო აქციებისას ითითლიბაზეს, შემდეგ, 2010-ის ადგილობრივი არჩევნები, რესპებთან ერთად, ახლებმაც გაუპრავეს ნაცებს, ხოლო რვიან-ექვსიანის ცნობილი კლოუნადისას, ხომ საერთოდაც ჩამოიხსნეს ნიღაბი, როდესაც მამუკა კაციტაძეს მილიონზე ვაჭრობისას წაასწრეს პალიკო კუბლაშვილთან, რესტორანში. რითიც, არა მარტო საკუთარი პარტიის, არამედ ოპოზიციის, როგორც ასეთის, საქართველოში საბოლოო დისკრედიტაცია მოახდინეს — პოლიტიკური პროცესი, რომელიც ისედაც სულს ღაფავდა, საერთოდ ჩაკვდა, მოსახლეობამ, ერთი ამათი დედებიცო, ერთნაირად შეუკურთხა ოპოზიციაპოზიციას, რაც იქნება იქნებაო, ხელი ჩაიქნია და ქართველმა საზოგადოებამ ლეთარგიული ძილით მიიძინა...

### „მივალ, მივყვები მე ჩემს ფარასა“...

**მას მერე, რაც „ერთხელ მაინც“ , არ ანდეს ლეიბების „ნათელ შვილს“ ქვეყანა და ქართველებმა კიდევ ერთხელ გავაწბილეთ შალიკო, იმდენ ხანს არ ჩანდა კი არა, ჩამიჩუმიც კი აღარ ისმოდა პირველი ლეიბორისტისა, რომ ნაღდად ვიფიქრე, ივანიშვილმა, ალბათ, პატარა ფარა უყიდა და მშობლიურ დუშეთში გადის მწყემსობის სტაჟირებას და თუ ამ გაზაფხულზე დოლიც არ ჩაუვარდება, იქნება საქართველოს მთავარ სარქლობასაც გამოჰკრას ხელი-მეთქი — იქით პოლიტიკა დაისვენებდა „დაუნ დიქტეიტედან“ და აქეთ მეცხვარეობა აღორძინდებოდა...**

მაგრამ არა, თურმე შალიკო ისევ თავისი დემაგოგიის ფარას მიერეკება, მიერეკება და, რომ იტყვიან, მართლაც გარეკა „რუსთავი-2“-ის მიერ მისთვის ოპერატიულად „გაჩითულ“ ეთერში — შევარდნაძე



რა შუაში იყო, ანდა მით უმეტეს მისი რუსული და, ედუარდმა, ცეკას მდივანი რომ გახდა, რუსული არ იცოდა, მაგრამ ნიჭიერი იყო და ისწავლაო. აი, ივანიშვილი ვერასოდეს ისწავლის რუსულსო!

მართლაც სასაცილოა, რომ „მაია დედუშკა, მოი ბაბუშკას“ დონის მორუსულე შალიკო ივანიშვილს რუსულის არცოდნას უკიჟინებდეს — ვისაც ამ ორი წლის წინათ გინახავთ, თუ როგორ „სხლავდა“ რუსულად ნათელაშვილი ვიქტორ ტოპოლერთან RTVI-ზე, უეჭველად ზურიკელა ვაშალომიძე და რუსულის ზაბლონა მასწავლებელი გაგახსენდებოდათ. მაგრამ ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა-განტვირთვისათვის...

სხვაფრივ კი, ვერაფერი ახალი, ისევ ბრიყვული არგუმენტაციით ახსნა იმისა, თუ რატომ სთავაზობდა შალიკო პრემიერობას წინა არჩევნებზე ბიძინას, თუ რატომ დაუთმო, კიდევ უფრო წინა არჩევნებზე, იმჯერად მიშას საკრებულო და ა.შ. მსგავსი სისულელეების ჩამოთვლას აზრი არა აქვს — ერთადერთი ახალი ის იყო, რომ ამ აბსურულ გამოსვლას, კიდევ ერთხელ, „მე ვიწყებ“-ს შედეგად მართლაც მოულოდნელი რამ მოყვა — ლეიბების უმაღლესმა პარტ-იერარქებმა: სოსო შატბერაშვილმა, კახა ძაგანიამ და (მესამეს ვერ ვიხსენებ) აღიარეს რა, რომ ლეიბორისტული პარტია წლების მანძილზე სააკაშვილის მეხამრიდობას ეწეოდა, პროტესტის ნიშნად დატოვეს პარტიის რიგები. მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო, „ლეიბ-მარშალი“ იხტიბარს არ იტეხს და „რეშკაზე არ ეცემა“, მაგრამ, ცხადია, რომ შალვა ნათელაშვილი, ოდენ გიორგი გუგავას „მაღალი ინტელექტის“ ამარადაა დარჩენილი!

### ხვლიკი, შადიმანა თუ იუდა?

**თუმცა, არა, მიუხედავად იმისა, რომ ღალატი, ქვეგამხედვარობა, ფარისევლობა ჰალსტუხიანი ხვლიკის ბუნებრივი მდგომარეობაა, თარგამაძესთან შედარებით იუდაც კი დადებითი პიროვნებაა იმის გამო, რომ ქრისტეს გამყიდველი მიხვდა თავის დანაშაულს და თავი ჩამოიხრჩო!**

ჰოდა, ამიტომ ბადრი პატარკაციშვილის მოღალატეს აქ, წერილში „ჩამოვახრჩობ“, ამ უტიფარს!

ვუყურებდი იმ საღამოს ნინო (მაიკო) შუბლაძის (ჩემს ჯეელობაში „მაიკო შუბლაძე“ სალადაო თემა იყო) „პოზიციაში“ „ოპოზიციის“ აღიარებული (ჩვენს „მეგობარ“ დასავლეთში) ფლაგმანის გამოსვლას და ბრაზთან ერთად სირცხვილის გრძნობაც გამიჩნდა, რომ მეც ამ „თუქსუსთან“ ერთად, ერთ ქალაქში ვცხოვრობ, ერთი ჰაერით ვსუნთქავთ, მეც ქართველი მქვია და მაგასაც და ა.შ.

რამდენი აფურთხეს, რამდენი აგინეს მას შემდეგ, რაც 2007-ში თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა, მაგრამ რაა როო? ფურთხს იწმენდს, ჟუჟუნა წვიმააო, და აგერ ახლაც, ეს უნამუსო, ახალ მთავრობას სთხოვს 7 ნოემბრის ამბების გამოძიებას, შებღალული ღირსება აღგვიდგინეთ, მე და ჩემს „კამანდასაო“ — რა უნდა აღუდგინონ, რაც არასოდეს ჰქონიათ?

ბადრი პატარკაციშვილის თხასავით გაყიდვას თავიც რომ დავანებოთ, ქრისტიან-დემოკრატები არ იყვნენ, პარლამენტის ბოიკოტს არათუ მხარი აუბეს, არამედ ეს თემა არც კი განიხილეს, ლამის ისტერიკა დაემართათ და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 2 თვით ადრე, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში შექმნილ ნაჟურნალისტების პარტიას, მართლაც კუდზე შემდგარი შეუძლვა პარლამენტში ჰალსტუხიანი ხვლიკი, რითიც ლეგიტიმურობა შესძინა სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს!

სამაგიეროდ, ამ მართლა „შადიმანამ“ (რა ნაძირალა უნდა იყო ბავშვობიდანვე, რომ სკოლაში მსგავსი „კლიჩკა“ დაიმსახურო), ნაცბანდის საერთაშორისო კავშირების მეშვეობით, ხვლიკების პარტიამ, მთავარი ოპოზიციის და ნაცების შემდეგ, მნიშვნელობით მეორე პარტიის სახელი დაიგდო დასავლეთში — ეშტონ-მეშტონები, ბაროზო-მაროზოები, ისე არ წავიდოდნენ საქართველოდან, რომ შადიმანასთან ბრუდერშაფტი არ დაელიათ!..

ისიც კარგად გვახსოვს: მას შემდეგ, რაც ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, როგორ აიფოფრა დასავლეთი და სწორედ ზემოხსენებული კავშირების წყალობით, ლენჩი სააკაშვილის საპატივსაცემო ლანჩზე, როგორ უმშვენებდნენ გვერდებს (დიახ გვერდებს, აქეთ-იქიდან ესხდნენ) მამამარჩენალ მიშას ინგლისში, დათო (თითლიბაზი) გამყრელიძე და გიორგი (ხვლიკი) თარგამაძე — ამ „პეიზაჟით“ მიშამ მთელს მსოფლიოს უჩვენა, აი, მე პრეზიდენტი, აგერ ჩემი კოჰაბიტირებული ოპოზიციაც და ბიძინა ივანიშვილი ვინ მიგდიაო?

ახლაც იმავეს აწვება ხვლიკი, ოღონდ შედარებით „მოკრძალებულად“ — **არჩევნებზე მესამე შედეგი ვაჩვენეთ და მეორე თუ აღარ, ოცნება-ნაცების შემდეგ, მესამე პარტია ვართო,** რაზედაც „მაიკო შუბლაძემ“ სიამოვნებით დაუკრა კვერი...

რაღა ბევრი გავაგრძელო, ბატონებო, და სურათი ნათელია — ფსევდოოპოზიციამ დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის ბრძოლა დაიწყო და ეს ამბავი, ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობასთან ერთად უნდა განვიხილოთ — ხვლიკების, ახლების, ლეიბების „ოპოზიციაც“, ნაცებთან ერთად იმუშავებს პირველ რიგში მეოცნებების დისკრედიტაციისთვის!



ამას ისიც დაუმატეთ, რომ ვანო (ხლისტი) მერაბიშვილი არ აპირებს, ბიძინას 4 წელიწადი კიდევ აცალოს და უარჩევნებოდ აპირებენ ნაცები ხელისუფლებაში დაბრუნებას და რასთან გვაქვს საქმე, ადვილი მისახვედრია...

რა გამოვა აქედან (ალბათ, ვერაფერი), ეს სხვა თემაა, მაგრამ ფსევდო-ოპოზიციისა და ნაცების ალიანსი რომ ფაქტია, ამას არ უნდა დიდი მარჩიელობა!

თუმცა, ვიმეორებ, და იქნება ლეიბ-ახლების საწყენადაც — ყველაზე „აპასნი“ მაინც ხვლიკია, რადგან ყველაფრის მკადრებლობის ნიჭში ახლოსაც ვერ მივლენ მასთან მამუკია თუ შალიკია — ჯერ სახელი ნახეთ რა — ქრისტიან-დემოკრატები!

იმდენიც მოახერხა თავის დროზე ხვლიკმა, რომ მას შემდეგ, რაც ტელეიმედი მიშასთვის საჭირო დროს დახურა და სანაცვლოდ პოლიტიკური პარტია „გაუიმასქნეს“, ჩვენს მოხუც პატრიარქს გამშვენებული ჯვარი დასტყუა თავისთვის და ლოცვა-კურთხევა ნაცების სატელიტი პარტიისათვის — რა უნდა ექნა მის უწმინდესობას, ქრისტიანებს, და ჰამაც დემოკრატებს, პატრიარქი კურთხევაზე უარს როგორ ეტყოდა?

ჰოდა, ამ „ქუდით“ ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება საქართველოს ამომგდებ მიშა სააკაშვილს და მის ნაციონალურ მოძრაობას შადიმანა, ჰალსტუხიანი ხვლიკი და იუდა, რომელიც თავს არასოდეს მოიკლავს...

**დავით მხეიძე**

◉ ალიან-ჩალიანი

## სასამართლო პროცესებს ვიდეო-აუდიო სისტემით გადაიღებენ

**სასამართლო სხდომების ვიდეო და აუდიო გადაღება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით ხდება დასაშვები. როგორც ცნობილია, ნაფიც მსაჯულებთან დაკავშირებით მომზადებული საკანონმდებლო პროექტის ფარგლებში, პარლამენტმა „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ სასამართლო პროცესების აუდიო-ვიდეო ჩაწერის სავალდებულო უზრუნველყოფის ნორმაც ჩადო. აღნიშნული წინადადებით პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გამოვიდა, რაც უმრავლესობამ გაიზიარა და მხარი დაუჭირა. ამასთან, როგორც საკითხის განხილვისას აღინიშნა, იქმნებოდა საკანონმდებლო კოლიზია, რადგან ზემდგომი ორგანული კანონი — „საერთო სასამართლოების შესახებ“ გადაღებების შესაძლებლობას კვლავ ზღუდავდა.**

**მაშინ კოლეგები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული კანონის ამ მიმართულებით კორექტირება საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე მოხდებოდა.**

**პარლამენტის ბიუროს პირველივე სხდომაზე დეპუტატების, ვახტანგ ხმალაძისა და ლევან ბეჟაშვილის ერთობლივი ინიციატივა წარედგინა, რომლის გათვალისწინებით, სასამართლო პროცესებზე აუდიო-ვიდეო გადაღებების დაშვება „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით ხდება დასაშვები. გადაღებებთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ გახორციელებული ცვლილებები გამოქვეყნებულია, თუმცა, ის მიმდინარე წლის 1 მარტიდან ამოქმედდება.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**სინამდვილე ასეთია**

# ვის მოუსმენთ - პრეზიდენტს თუ მოქალაქე სააკაშვილს?

**კითხვა, რომლითაც კონკრეტული პასუხისათვის მივმართავთ საქართველოს პარლამენტის სპიკერს და ჩვენს მიერ არჩეულ დეპუტატებს**

**ხალხს აფიქრებს პარლამენტის**
**8 თებერვლის პარამეტრი;**
**თვალში ნაცარს ნუ შეგვაყრით,**
**ამით კითხვებს ვერვინ წაშლის!**
**მეორედ რომ თავზე გვაზის**
**ხუთი წელი, თანაც მეტი,**
**ვის მოუსმენთ —**
**პრეზიდენტს თუ**
**მოქალაქე სააკაშვილს?**

# ნუ დაიდგამთ უნაგირს!

**ღია წერილი საქართველოს პარლამენტს**

**ბატონო სპიკერო!**
**ქალბატონო და ბატონო დეპუტატებო!**

შემთხვევით არ მოგმართავთ ამომრჩეველი, რომელმაც 2012 წლის 1 ოქტომბერს, ფაქტობრივად მთელ საქართველოსთან ერთად, დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობას ხმა იმისთვის მოგცათ, რათა საბოლოოდ დასმოდა წერტილი დიქტატორს, რომლის მიერ შექმნილმა დანაშაულებრივმა პოლიტიკურმა სისტემამ ქვეყანაში გააბატონა სიღატაკე, ძალადობა, ელიტური კორუფცია, ავაზაკობა და ქვეყნის ძირითადი კანონის — საქართველოს კონსტიტუციის „საკუთარ ტანზე მორგება“.

ამ მახინჯმა სისტემამ დაგვაკარგვინა ქვეყნის უძვირფასესი მარგალიტი — დალის ხეობა და კრიმინალური ბანდის მეთაურად გამოაცხადა ჭეშმარიტად ეროვნული გმირი ემზარ კვიციანი, რომელიც თანამებრძოლებთან ერთად ხეობას თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

ამ მახინჯმა სისტემამ აიძულა მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სულგანათლებული ალბერტ თავხელიძე და მილიონობით ჩვენი სხვა თანამემამულე, რომ სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ.

ამ მახინჯმა სისტემამ დახოცა ბევრი ჭეშმარიტად ღირსეული ადამიანი, მათ შორის დიდი მამულიშვილი და მეცნიერი გურამ შარაძე; სულიერად და ხორციელად ჯანსაღი ახალგაზრდები სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე და მრავალი სხვა.

ამ სისტემამ წამების სადისტური, ამასთან უბინძურესი საშუალებებით შეურაცხყო მთელი ჩვენი ქვეყანა.

ტვინების გამორეცხვისა და ქართველი ერის სულიერი გადაგვარების მიზნით სწორედ ამ სისტემამ შექმნა თავისი „ჯიბის ტელევიზიები“, რომლებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ვიწრო პარტიული ინტერესების გათვალისწინებით კვლავაც განაგრძობენ აღვირახსნილ დეზინფორმაციულ ომს ყოველგვარი პროგრესულის წინააღმდეგ.

აშკარად გამოხატული მონოპოლიური ხასიათის მათ პოზიციას დღემდე ამყარებს ჯერ კიდევ საბოლოოდ აულაგმავი უმახინჯესი სისტემის დამოკიდებულება მედიის სხვა ორგანოების, განსაკუთრებით კი გაზეთების მიმართ, რომლებსაც, ფაქტობრივად, მკითხველთან მისასვლელი ყველა გზა დაუხშეს — გამოასახლეს მათივე შრომითა და შემოსავლით აშენებულ გამომცემლობა „სამშობლოდან“ და „პრესის სახლებიდან“; ეკონომიკური ბერკეტების მზაკვრული გამოყენებით ოქროს ფასი გახადეს საბეჭდი ქაღალდი და პოლიგრაფიული მომსახურება, ბოლო პერიოდში კი უფრო შორს შეტოპეს და გაზეთის გავრცელება თითქმის შეუძლებელი რომ ყოფილიყო, მთელ ქვეყანაში დაანგრიეს ის ჯიხურები, სადაც პრესა იყიდებოდა.

მე მქონდა ბედნიერება, 21 წელიწადი მემოღვაწა გაზეთ „თბილისში“ და 12 წელიწადს მერედაქტორა გაზეთ „ქუთაისისათვის“. საყოველთაო პოპულარობით გამორჩეული ეს ორი ძალზე დიდტირაჟიანი გაზეთი ზემოხსენებული რეპრესიების გამო უკვე კარგა ხანია, აღარ გამოდის.

2008 წლიდან იგივე ბედი ეწია ჩემს ყოველთვიურ, 20-გვერდიან საავტორო გაზეთს „სარკმელი საქართველოსი“, რომელიც არსებობის 15 წლის მანძილზე საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს ქართულენოვან განფენილობაში.

ჩემთვის უაღრესად მტკივნეულია ისიც, რომ დღეს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ,,რუსთავი-2“-ზე არანაკლებ მავნე იარაღად იყენებს ამჟამად პირველ არხად წოდებულ ყოფილ სახელმწიფო ტელევიზიას. არადა, ამ ტელევიზიაში 10 წელიწადს ვმოღვაწეობდი და წლების წინანდელ მის ცხოვრებას ისეთი საეტაპო გადაცემებით ვუკავშირდები, როგორებიც იყო „კაკაბეთის ზარები“, „მივლინება ჯოჯოხეთში“, „რისხვით შეკრული მუშტი“და სხვა. ამიტომ ჩემთვის და არა მხოლოდ ჩემთვის, ალბათ, სხვებისთვისაც, უაღრესად არსებითია ქვეყნის ძირითადი კანონის სრული შესაბამისობით გაცემული პასუხი და მისი შესატყვისი „სიტყვა საქმიანი“ კონკრეტულ შეკითხვაზე:

**ვის მოუსმენს პარლამენტი?**

**ამჯერადაც პრეზიდენტად მოიხსენიებს ნაპრეზიდენტალს, რომელსაც კონსტიტუციით რეგლამენტერებული ხუთწლიანი ვადა თებერვალში კი არა, იანვარში ამოეწურა და ამიტომ პრეზიდენტი აღარ შეიძლება ეწოდოს, თუ გამოიჩენს სათანადო პრინციპულობას და ყველაფერს რეალური სახელი დაერქმევა?**

**მინდა, მჯეროდეს როგორც ქართული, ისე პირადად ჩემი იმ იმედიანი ოცნებისა, რომ „თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს“.**

**ალექსანდრე შენგელია**

**გამოიცა**

*„ფაზისის“ საერო აკადემიის ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ახალგამოცემული მე-6 ტომი ეძღვნება 1996 წლიდან ამ აკადემიის საპატიო პრეზიდენტის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღმაშენებლის აღსაყდრების 35 და დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. აქედან ექვსი ათეული წელია, იგი უფალს ავედრებს ქართველ ერს. ჟურნალი გვერდს არ უვლის პოლიტიკურ პერიპეტიებს, საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობას ქართველი ხალხის ცხოვრებაში, განსაკუთრებულად აშუქებს და ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს — მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს, რამეთუ ქვეყანა ერთია და ყველა ღვთისა და ერის სამსახურში უნდა ვიყოთ, რამდენადაც ღმერთი, ეკლესია ყველაფერზე მაღლა დგას.*

*ჟურნალი აქვეყნებს პატრიარქის დარიგებებს, ქადაგებებს, ეპისტოლეებს, მისი დაუცხრომელი ღვთიური მოღვაწეობის ამსახველ წერილებს, სტატიებს, ცნობებს.*

# ...რათა ამ გზაზე მარტო არ დავრჩეთ

**ჟურნალ „ცოტნეიდელის“ ახალი ნომერი ეძღვნება საქართველოს სულიერ წინამძღოლს, ერთან ღვთის სიტყვით მოსაუბრე ჭირისუფალს**

ჟურნალში დაიბეჭდა **როინ მეტრეველის** ვრცელი წერილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ღვთიურ გზაზე, ქვესათაურებით: **„პატრიარქის გაზაფხული“, „მღვდლობიდან ეპისკოპოსობამდე“, „ბრძოლა სულიერი ავტოკეფალიისათვის“, „საერთაშორისო აღიარება“, „ღვთისკენ შემობრუნებულები“, „პატრიარქი და სახელმწიფო“, „პატრიარქი — ავტორი ახალი საგალობლებისა“, „მადლი ხატწერისა და ფრესკული მხატვრობისა“...**

ჟურნალში დაბეჭდილია აზრები და დარიგებანი კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებებიდან:

ქრისტეს კვართის შესახებ საინტერესო გამოკვლევას გვთავაზობს „ფაზისის“ საერო აკადემიის ნამდვილი წევრი **ნუგზარ კვაშილავა**. აქ მოყვანილია დონ ქრისტეფორო დე კასტელის ჩანაწერები „ხობის განთქმული ეკლესიის სურათი, რომლის შიგნით ლამაზად მორთული თაღის ქვეშ, შემონახულია სათაყვანებელი რელიკვიები ჩვენი უფლისა და ღვთის დედის, ქალწულ მარიამის კვართები“.

ჟურნალში ვრცლადაა გაშუქებული ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მოღვაწეობა მისი მიტროპოლიტის **მეუფე საბას** ხელმძღვანელობით.

ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 175 წლისთავს ეძღვნება ცალკე თავი. ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად მოყვანილია მისი გენიალური აზრების ნაკრები.

აქვე იბეჭდება **გრიგოლ რობაქიძის** მიმართვა — „ქართველ მწერლებს“.

დღევანდელ სიტუაციას ეხმიანება და ერთგვარ გაფრთხილებად იკითხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის **ნოე ჟორდანიასა** და საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** სიტყვები, წარმოთქმული 1919 წლის 1 დეკემბერს და 1990 წლის 26 მაისს. ეს ისტორიული პარალელები განსჯის საგანი უნდა გახდეს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და დამოუკიდებლობის გზაზე.

აქვეა დასტამბული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1991 წლის 9 აპრილს, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლექსები „ძმას, ქრისტესმიერს“ და „იქ თავგანწირვა გაგიღებს კარებს“.




ჟურნალში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა „ფაზისის“ საერო აკადემიის ნამდვილი წევრების: **მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა** და **ვლადიმერ ვახანიას** უნიკალურ ნაშრომს **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**. გამოკვლევის ობიექტი — მეგრული ენა უმდიდრესი ლექსიკის მქონე ენაა მსოფლიოს ენებს შორის, იგი მილიონობით სიტყვას ითვლის და მასში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის წარმოშობა-განვითარების მთელი ისტორია, რასაც მკაფიოდ ადასტურებს შვიდტომეული, რომლის უდიდესი მეცნიერული ღირებულება საყოველთაოდ აღიარებულია. აი, რას წერს „ფაზისის“ საერო აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი **ნუგზარ ნადარაია** მამანტი ძაძამიას 70 წლის მისალოც ადრესში:

**„ბატონო მამანტი ბესარიონის ძევ!**

**თქვენ, სიცოცხლეშივე აღიარებულმა მემატიანე-კორიფემ, მშობელი ხალხის საფიცარმა მამულიშვილმა, თქვენი მეცნიერული მემკვიდრეობით უკვდავყავით რა საქართველოსა და ქართველი ერის თვითმყოფადობა, ისტორია და კულტურა, თავადვე გაბრწყინდით კაცობრიობის მარადიული ღირებულებების ჩაუმქრალ მოკიაფე ვარსკვლავად. ჩვენ, ფაზისელ ცოტნეიდელებს, ე.ი. „აღმსარებელთ მცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის,“ გვეამაყება, რომ ფაზისის მეცნიერებათა საერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ 2007 წლის 25 მაისს, მხარდაჭერის ისტორიული გადაწყვეტილებით რეკომენდაცია გაუწია თქვენი ფუნდამენტური ნაშრომის „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“ შვიდტომეულის გამოცემას. სადღეისოდ დადასტურებულია, რომ უძველესი მეგრული ენა ერთ-ერთი ქართველური ენაა და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის წინამორბედ ენად გვევლინება, როგორც პროტოქართულ-კოლხური ენა. თქვენს მეცნიერულ დასკვნებს ეხმიანება და იდენტურად ადასტურებს ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფრვა, ძველი კოლხური, ძველი იბერიული, ე.ი. ქართული სულ მცირე 4000-წლოვანი „ოქროდამწერლობით“. ამდენად, ღვთის წყალობით, ნათელი გახდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა 40 საუკუნის წინათ ფუნქციონირებდა, თავისი სახელმწიფო ენითა და დამწერლობით.... რომ ძველკოლხური (მეგრული) ენა კილოკავი თუ დიალექტი არასდროს ყოფილა. ამდენად, ჭეშმარიტი ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდება „მეგრული რევანშისტული სეპარატიზმისა“ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და გონიერი მტრის თუ უგუნური მოკეთის მიზეზით საერთო ტკივილია, ერთიანი ქართული სხეულის ხერხემალშივე გადატეხის მიზნით ჩაფიქრებული... პროტოქართულ, ძველ კოლხურ, ძველ იბერიულ, ძველ მეგრულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ფაზისის (კოლხეთის) სამეცნიერო საერო აკადემიაში, რომელშიც ცოდნის მაძიებელნი ევროპიდან და აზიიდან მოემართებოდნენ. სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსები და ორატორები ევგენიოსი და თემისტოსი ფაზისში შორეული კესარიიდან ჩამოსულები, აქ ცოდნის ნაყოფის დაუფლებით ამაყობდნენ კიდეც, ურჩევდნენ რა თავიანთ შეგირდებს, სწავლა-განათლება სწორედ შორეულ კოლხეთში, ფაზისში მიეღოთ.... ძველკოლხურ (მეგრულ) ენაზე მეტყველებდნენ მედეა და იაზონი, აიეტი, კირკე, ქუჯი ეგრისელი, ლაზი მეფე გუბაზი, მსოფლიოში სახელგანთქმული ორატორები: აიეტი, ფარტაზი, წათე, რომელთაც ფაზისის აკადემია ჰქონდათ დამთავრებული. სადღეისოდ, ღვთის წყალობითა და ნებით, ძველი კოლხური (მეგრული) ენა გაბრწყინდა და მკვდრეთით აღსდგა, ვითარცა წმინდა ლაზარე...“**

**რევაზ გრიგალაშვილის** სტატიაში „პოეზიის აისბერგი“ ვრცლად არის მიმოხილული **პლატონ ჩადუნელის** პოეზია.

პროფესორი **ლიანა წურწუმია** ვრცლად იხილავს საინგილოს ღირსეული შვილის **მიხეილ ყულოშვილის** წიგნს „ჰერეთის (საინგილოს) საერო და სასულიერო პირები I საუკუნიდან XXI საუკუნემდე“.

საინტერესო კვლევებია „ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები“, „ნოქალაქევის გეოგრაფიული სახელწოდებანი“. ავტორები არიან ფაზისის აკადემიის წევრები: პროფესორი **იური სიხარულიძე** და **იგორ კეკელია**.

საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზებსა და პერსპექტივებზე საუბრობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნოდარ ჭითანავა**.

ვრცელი სტატია ეძღვნება ცნობილ მოგზაურს, მსოფლიო მოქალაქეს **ჯუმბერ ლეჟავას** — „ოთხი ათასი დღე დედამიწის გარშემო. აქვე იბეჭდება მისი რეკომენდაციები ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდისათვის (ვარჯიშების ციკლი — ჯანმრთელობის ფორმულა).

ძნელია ყველა წერილის, სტატიის ჩამოთვლა...

**ჟურნალის მთავარი ორიენტირია წარსულის და თანამედროვეობის თანაარსებობა, ქვეყნის მომავლის განჭვრეტა და სულიერი, კულტურული და ეკონომიკური აღორძინების გზების განსაზღვრა, რათა ამ გზაზე მარტო არ დავრჩეთ. ამ მხრივ საკმარისი შეცდომები დავუშვით და ბოლო პერიოდი სულ შეცდომებზე ვიარეთ...**

ჟურნალ ცოტნეიდელის იდეის ავტორი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, „ფაზისის“ საერო აკადემიის პრეზიდენტი **ნუგზარ ნადარაია**.

სამეცნიერო ჟურნალ-კრებულის „ცოტნეიდელის“ მე-6 ტომი გამოიცა წარმატებული ბიზნესმენის, ცნობილი მეცენატისა და მამულიშვილის **თენგიზ სარიშვილის** ქველმოქმედებითა და თანადგომით, ეროვნული (კოლხური) საგანძურის პატივგების ნიშნად, რისთვისაც აკადემიის პრეზიდიუმი და ჟურნალის საგამომცემლო-სარედაქციო საბჭო გულწრფელ მადლობას მოახსენებენ მას.

**ზურაბ აბრალავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ბიძინა ივანიშვილმა პრემიერის პოსტზე თავისი შედეგებით იტრაბახა

**ბიძინა ივანიშვილმა, როგორც მთავრობის ხელმძღვანელმა, შეაჯამა თავისი მუშაობის პირველი ასი დღე. მან, არცთუ უპათოსოდ განაცხადა, რომ დამთავრდა „მიხეილ სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული სიცრუის ეპოქა“. თქვა აგრეთვე, რომ „არ უყვარს ტრაბახი“, მიუხედავად ამისა, ისაუბრა ფასების დაკლებაზე, ათასობით პატიმრის გათავისუფლებაზე და თავის იმედებზე რუსეთთან ურთიერთობაში.**

„ახალმა მთავრობამ უკვე ბევრი რამ გააკეთა კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენისთვის ქვეყანაში, შეწყდა ძალადობა და ტერორი მოსახლეობაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ყოფილი ხელისუფლების დროს“, — ხაზგასმით აღნიშნა პრემიერმა.

მისი სიტყვებით, მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა დეკემბერში ამნისტიის გამოცხადება, რომლის თანახმადაც ციხიდან დაახლოებით 5 ათასი პატიმარი გათავისუფლდა, მათ შორის დაახლოებით ორასი პოლიტპატიმარი. მთლიანად ციხეებში იჯდა 23 ათასი კაცი. შეგახსენებთ, რომ მთავრობა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის მეთაურობით პარლამენტმა დაამტკიცა 25 ოქტომბერს ქვეყანაში გამართული არჩევნების შედეგად. ივანიშვილმა განაცხადა: „ქვეყნის მოსახლეობამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს იმას, რომ სააკაშვილის გუნდის წარმომადგენლები კვლავ აგრძელებენ სიცრუისა და ცილისწამების კამპანიას, რაც მათ დაამკვიდრეს მათი მმართველობის პერიოდში წინა ცხრა წლის განმავლობაში. მათი დრო წავიდა“.

მნიშვნელოვან საგარეო-პოლიტიკურ მიღწევად პრემიერმა მიიჩნია გაჩენილი დათბობა რუსეთთან ურთიერთობაში. „მთავრობამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის გზაზე“,— აღნიშნა ივანიშვილმა. „უკვე ჩანს პოზიტიური იმპულსები, — დაუმატა მან, — თუმცა, ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ ამ ურთიერთობათა ნორმალიზაცია სწრაფად არ მოხდება, ამისთვის საჭიროა დრო, მაგრამ პროცესი უკვე დაიწყო და ეს ძალიან კარგია“.

მიუხედავად ამისა, პრემიერმა აღნიშნა, რომ ძირითადი პრიორიტეტები საგარეო პოლიტიკაში უცვლელად რჩება — ეს არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ინტეგრაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა ვაშინგტონს „დახმარებისთვის“, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები მრავალი წლის განმავლობაში უწევდა და უწევს ამჟამადაც საქართველოს...

დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ვლადიმირ ჟარიხინი მიიჩნევს, რომ ურთიერთობა მოსკოვსა და თბილისს შორის, უწინარეს ყოვლისა, განვითარდება სავაჭრო თანამშრომლობის სფეროში.

„ასევე ჰუმანიტარული სფეროს თვალსაზრისითაც იქნება გამარტივება ან, შეიძლება, სავიზო რეჟიმის გაუქმებაც კი. რაც შეეხება ოფიციალურ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს, იმედი, რომ უახლოეს პერიოდში მოხდება დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა რუსეთსა და საქართველოს შორის და საქართველოს დაბრუნება დსთ-ში, მე არ გამაჩნია. მაინც უახლოეს პერიოდში არც ერთი, არც მეორე მხარე თავის პრინციპულ პოზიციებზე — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის საკითხთან დაკავშირებით — უარს არ იტყვის“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში ჟარიხინმა.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# „დროა, რუსეთმა და საქართველომ განიხილონ ვიზების საკითხი“



**საქართველოს იმედი აქვს, აღადგინოს ურთიერთობა რუსეთთან და მოაწესრიგოს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პრობლემა ეკონომიკური კავშირების განვითარების მეშვეობით. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 5 თებერვალს თბილისში გამართულ პრესკონფერენციაზე.**

მისი სიტყვებით, საქართველო გრძნობს „დადებით იმპულსებს“, რომლებიც უკანასკნელ ხანებში მოდის მოსკოვიდან, რაც საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ „გაზრდილი იმედების შესახებ“ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მან მაგალითად მოიყვანა სიტუაცია, რომელიც დაკავშირებულია რუსეთში ქართული ღვინოების იმპორტზე ემბარგოს მოხსნასთან, რაც შვიდი წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

უკვე 1 მარტს, საქართველოს პრემიერის სიტყვებით, გაიმართება პირდაპირი მოლაპარაკება რუსეთში სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინს შორის. პირველად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიაში დეკემბერში, მათი ახალი შეხვედრის ადგილი განისაზღვრება უახლოეს დღეებში. ამ მოლაპარაკების დღის წესრიგის შესახებ გვესაუბრება თავად **ზურაბ აბაშიძე**.

***— რა საკითხებს განიხილავთ რუს კოლეგასთან?***

— ეს დაკავშირებულია სავაჭრო კავშირურთიერთობის თემატიკასთან, ტრანსპორტთან — რეგულარული ავიამიმოსვლის, ჰუმანიტარული სფეროს აღდგენის შესაძლებლობასთან. ვნახოთ, თუ როგორ შეიძლება წავიწიოთ წინ. გავაანალიზებთ, თუ რა გაკეთდა მას შემდეგ, რაც გაიმართა ჩვენი პირველი დიალოგი. არის გარკვეული იდეები კულტურულ დიალოგთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით განსაკუთრებული სირთულეები არ არის, მაგრამ სავაჭრო, კულტურული ურთიერთობანიც, ბოლოს და ბოლოს, ემყარება საქართველოს მოქალაქეების მიერ რუსეთის ვიზების მიღების პრობლემებს. თუ რუსეთელები ღებულობენ საქართველოს ვიზას საზღვრის გადაკვეთის დროს, რუსეთში ჩასვლა საქართველოს მოქალაქისთვის ძალიან რთულია. გაურკვეველია, თუ როგორ იქნება ეს შემდეგ. აუცილებელია, რაღაცა ვიღონოთ, რომ შევამსუბუქოთ ვიზების მიღება.

***— როგორ აფასებთ ქართველი მეღვინეების მოლაპარაკებას რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობასთან მოსკოვში?***

— ჩემი შეფასებით, ჩვენი დელეგაცია კმაყოფილია. მან მიიღო კვალიფიციური ინფორმაცია, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ შემდგომ. ამ დღეებში საქართველოში ჩამოვლენ ექსპერტები რუსეთიდან.

***— გრძნობთ, რომ დიალოგის ტონალობა რუსეთსა და საქართველოს შორის მთლიანად შეიცვალა?***

— არის აშკარა ცვლილებები უკეთესობისკენ, გაჩნდა პოზიტივი, ნაკლებად გაისმის არამეგობრული რიტორიკა, არის პრაგმატიზმის შეგრძნება. ამავე დროს არის პროცესების კრიტიკაც, საქართველოს საზოგადოებაში მიმდინარეობს მწვავე დისკუსია ამ საკითხთან დაკავშირებით, არის სასარგებლო გამონათქვამები. ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდნენ რუსი პოლიტოლოგები, რომლებმაც ისაუბრეს თავიანთი შეხედულებების შესახებ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა პერსპექტივებზე. ჩემი აზრით, საექსპერტო გაერთიანებამ უნდა გააგრძელოს კონტაქტები. ამ პროცესში უნდა ჩაერთოს საზოგადოებაც. არ უნდა იყოს იმის შეგრძნება, რომ ვიღაცა რაღაცაზე თანხმდება კულუარებში. ეს ჩვენ ინტერესებს არ შეესაბამება.

***— იანვარში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის ფარგლებში რუსეთისა და საქართველოს დელეგაციების ხელმძღვანელებმა ალექსეი პუშკოვმა და თედო ჯაფარიძემ გააკეთეს თანამშრომლობისთვის საპარლამენტო არხის ამოქმედების შესაძლებლობის ზონდირება.***

— ამანაც შეიძლება შეასრულოს თავისი როლი. მიმაჩნია, რომ პარლამენტართა ასეთი დიალოგი საერთაშორისო მოედნებზე გაგრძელდება. საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის ზოგადი განწყობილება არის ის, რომ უნდა გამოვიდეთ რუსეთთან ჩიხური სიტუაციიდან.




ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

# სააკაშვილის საპასუხო დარტყმა

**ქართველები და რუსები კვლავ საუბრობენ ერთმანეთთან საფერავზე, თავკვერსა და ციცკაზე. ორშაბათს სახელმწიფო მეღვინეობის სააგენტოს ხელმძღვანელი ჩავიდა მოსკოვში, რათა ომის დამთავრებიდან ოთხწლინახევრის შემდეგ აწარმოოს მოლაპარაკება სავაჭრო ემბარგოს შეწყვეტის შესახებ.**

მას შემდეგ, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში ხელმძღვანელი გახდა მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი, გაჩნდა ურთიერთობის ნორმალიზაციის ნიშნები მრისხანე მეზობელთან. მაგალითად, მიუნხენის კონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, რომ ალტერნატივა დიალოგისთვის არ არსებობს, თუმცა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის რუსული ოკუპაციის დამთავრებამდე სრული შერიგება არ იქნება.

ასეთივე ფხიზელი და ზომიერი ტონი საშინაო პოლიტიკაში არ ისმის. ივანიშვილის გამარჯვების შემდეგ ახალი რეჟიმი მუდმივად ასწორებს ანგარიშებს ძველ ხელისუფლებასთან. უახლოესი დარტყმების გაცვლა მოსალოდნელია პარასკევს, პრეზიდენტის პარლამენტისადმი ტრადიციული მიმართვის დროს. შესაძლებლად მიიჩნევა ყველაფერი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებამდე და კონტრრევოლუციამდეც კი მივიდეს.

არჩევნების შემდეგ პრეზიდენტი და პრემიერი არწმუნებდნენ ერთმანეთს და დასავლელ დიპლომატებს, რომ მათი მშვიდობიანი თანაარსებობა შეიძლება სანიმუშო გახდეს პოლიტიკოსებისთვის. თუმცა, ჯერჯერობით აქედან არაფერი გამოვიდა.

სააკაშვილის საპრეზიდენტო მანდატი ოქტომბრამდე გრძელდება, მაგრამ ამ შემთხვევაში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით. არ არის სიმშვიდე ივანიშვილის კაბინეტშიც: პრემიერმა თავის პარტნიორს კოალიციაში ირაკლი ალასანიას ჩამოართვა ვიცე-პრემიერის პოსტი, ვინაიდან მან უკვე დაიწყო გეგმების აგება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის.

DER STANDARD

## დედამიწის ზურგზე



**სირიის ალეპოში ერთმანეთს ბოევიკები შეეტაკნენ, რომლებიც არავის ხელისუფლებას არ აღიარებენ**

რადიკალური ისლამისტები დაჯგუფებიდან „ჯებხატ ან-ნუსრა“ ჩაერთვნენ ბრძოლაში „ლივა ატ-ტაუხიდის“ ბევიკებთან მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელები შეეცადნენ, გაეტაცათ თავიანთი ამხანაგი. კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე დაკავშირებულია სირიის „მუსლიმან ძმებთან“, მეორე — „ალ ქაიდასთან“. ორივე ადრე უარს აცხადებდა, ეღიარებინათ ეროვნული კოალიცია, რომელიც სირიის ოპოზიციამ შექმნა.

* * *

**ფრანგებმა გამოაცხადეს ასობით ბოევიკის განადგურების შესახებ მალიში**



მთლიანად მალიში ბოევიკების რიცხოვნობა, ექსპერტების აზრით, დაახლოებით 3 ათასი კაცია. ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მონაცემებით — 5-დან 7 ათასამდე. საფრანგეთის კონტინგენტი დაახლოებით 4 ათას კაცს შეადგენს, მაგრამ მარტიდან იგეგმება მისი შემცირება.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ბირთვული გამოცდის წინ დადო ვიდეო აშშ-ის განადგურების შესახებ**



„მე ვნახე ეს. მაგრამ არ მივაგებ როლიკს პატივს ვილაპარაკო მის შესახებ აქ“, — განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა ჩრდილოეთი კორეის კოსმოსური ხომალდის გაშვების კადრებთან და ამერიკის ქალაქების ნანგრევებთან დაკავშირებით. საერთაშორისო გაერთიანება დღითი დღე ელოდება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიაში მესამე ბირთვულ გამოცდას. სამხრეთი კორეა ემზადება.

* * *

**სოლომონის კუნძულებზე 8,0 მაგნიტუდის მიწისძვრამ დაანგრია რამდენიმე დასახლებული პუნქტი, არის მსხვერპლი**

დილის 5 საათზე ჩვენი დროით კუნძულ სანტა-კრუსის რაიონში დაფიქსირდა ძლიერი მიწისძვრა, რის შემდეგადაც დაიწყო ძლიერი აფტერშოკების სერია. თითქმის ერთი მეტრის სიმაღლის ტალღებმა მიაღწიეს სოლომონის კუნძულებს, წყლით დაფარეს დასახლებულ პუნქტ ლატეში აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი. 5 კაცი დაიღუპა.






PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ პამფლეტი — „კანფეტი“

# კოჰაბიტაციონერს დამიხედეთ...

**ბევრ სხვა რამესთან ერთად, ჩემთვის გასაკვირი ესეც არის: ისეთ მცირემილიონიან ქვეყანაში, როგორიც ბედკრული საქართველოა, მილიონ და კიდევ მეტ მოქალაქეს არ უნდოდე პრეზიდენტად, მილიონი და კიდევ მეტი მოსახლე ხელმოწერით მოითხოვდეს შენს გადადგომას, შენ კი მაინც პრეზიდენტობდე, წარბსაც არ იტოკებდე და ყელყელაობდე საშინაო ტელეეკრანზე, თუ შენგან მონუსხულ თუ მოსყიდულ „უცხოეთებში“... მით უფრო მაშინ, როცა ყოველგვარი ყავლი გაგსვლია, ფორმალურად, გინდ ფაქტობრივად, შენგანვე გაბახებული კონსტიტუციის მანტიაში გახვეულხარ და დამატებით ცხრათვიანი სახელისუფლებო პირველპირობა მიისაჯე და მოივარგე კიდევაც...**

მილიონ და კიდევ მეტ ხელმოწერას ეხუმრები? ან შეგნება არა გაქვს, ან სინდისი, ან თავმოყვარეობა? თუმცა რად გინდა ან ერთი, ან მეორე, ან მესამე, როცა ის კონსტიტუციაში შემოტენილი თვალთმაქცური მუხლი გაქვს და კიდევ აწინდელი პარლამენტისა (თავის უმწირესობა-უკმარისობიანა) და მთავრობის წაყრუება-წაბრმავება გაქეზებს, კვლავ რომ პრეზიდენტად მოგიხსენიებენ და მაგალითად, გამოსაძახებელი ელჩების ნუსხას წარმოგიდგენენ ხელმოსაწერად და დასამტკიცებლად.

„კვლავ პრეზიდენტი, ბოინგ-ვერტმფრენი, — რატომ არაფერს მეტყვით?...“ რამე მითხრეს კი არა, სწორედ იმ საპრეზიდენტო ვერტმფრენით გაჰყვა ერთ-ერთი ლობისტი დასავლელი (ვენეციელი) ძია საქეიფოდ ყვარელში ისე, რომ საქართველოში ჩამოსვლის ოფიციალური მისიის შესრულება დაწყებული არც ჰქონდა... გაჰყვა ვადაგასულ მეთაურს სახელმწიფოსას, არადა ისეთი კომისიის თავმჯდომარე ბრძანდება, კანონებსა და წესებს რომ ასწავლის და უთანხმებს თუ უდასტურებს სხვებს... აბა თავის ქვეყანაში გაებედა და ჩაედინა მსგავსი საქციელი!..

დიახ, ლობისტი ძიები და დეიდები არ გამოელია მიხეილ სააკაშვილს და აგერ, მორიგ მატადორულ წითელ ზეწრად კოჰაბიტაცია შემოუგდეს — აბა შენ იცი, როგორ ააფრიალებო; და ესეც ნიჭიერი მატადორი გამოდგა (ნეგატიური ტალანტებით ხომ უხვადაა დაჯილდოებული ზეცისა თუ ბუნებისაგან): კოჰაბიტაცია ისე გაიგო, რომ ყოველი საჯარო გამოსვლისას (სოხუმის უნივერსიტეტის ან ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესურასთან შეხვედრა იქნება თუ კერძო პირთა ოჯახურ-ეკრანიზებული ვიზიტი) ახალი ხელისუფლება და ახალი პრემიერი უნდა აკრიტიკოს და ლანძღოს... თანაარსებობა მისთვის თანა-თარსე-ბობას, თანა-შუღლის-მთესველობას ნიშნავს და ჰე, ახლა!.. კოჰაბიტაციონერს დამიხედეთ და მიჰბაძეთ!.. ბაძავენ კიდევაც ყურმოჭრილი (და თავმოჭრილიც!) ნაცები...

უნივერსიტეტელებთან შეხვედრა ვახსენე და რამდენიმე დღის წინათ ქუთათურებთან „გაბაასება“ გამახსენდა, ფოტოსურათი რომ გამოგვიფრიალა, რომელზეც მძინარე (ჩათვლემილი) პარლამენტარი იყო აღბეჭდილი: აქაოდა, ნახეთ, როგორი ახალი პარლამენტი გვყავსო (უფრო ადრე, ფოტოგრაფობამდე, გეოგრაფიის მასწავლებლად წარმოდგა, რუკასთან საჩვენებელი ჯოხით ხელში, სოხუმის უნივერსიტეტის კონტინგენტს რომ ხვდებოდა). მიშასაგან რასაა რომ არ უნდა ელოდე, მაგრამ იმ ფოტოს აქეთ-იქით ტრიალმა (მსმენელები წრედ ჰყავდა განლაგებული), თანაც ბავშვივით ნიშნისგებით, მაინც გამაოცა მეც, „ბევრმიშამნახველი“... ნაძლევს ჩამოვდივარ, რომ იმ მომენტში საკუთარი სურათები არ ახსოვდა, გაცილებით უფრო სამარცხვინო, ვიდრე ჩათვლემილი პოლიტიკოსია. სახელდობრ, არ ახსოვდა კადრები, რომელთაგან ერთზე ის, ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი(!) შეშინებული მიწაზე ხოხავს, „შკაფებივით“ დაცვის ბიჭებით „დაკრიშებული“; მეორეზე კი, უკვე მჯდომარე მდგომარეობაში, ჰალსტუხს ღეჭავს... უმწირესობასაც და უკმარისობასაც, ხსენებულ ორ ფოტოს შეახსენებდა...

ხალხო, ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა და (ვთქვი ერთხელ უკვე მე) თავში სულ გალაკტიონი მიტრიალებს: **ყველაფერი არის ძალზე კარგად, რადგან ყველაფერი ძალზე ცუდად არის...** ისე ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ცხრა თვე უნდა იპრეზიდენტოს და „ცხრა ლახვარი რომ დამარტყათ ცხრაჯერ გულში“ მაინც ვიტყვი, რომ ამ ცხრა თვის სიგრძეზე კიდევ ბევრ სიავეს მოასწრებს. დედის მოთქმა ხომ გახსოვთ — „ცხრა თვეს მუცლით გატარებდი, ვაით გშობე, ვუით გზარდეო...“ ჰოდა, თუ დარჩენილ ცხრა თვეს ამ კაცს პრეზიდენტად ვატარებთ, ბოინგით და ვერტმფრენით ვატარებთ, მომღიმარი სახეებითა და დაუფიქრებელი თავების ქნევით „კოჰაბიტაციურ“ შეხვედრებს ჩავატარებინებთ, კიდევ მრავალ ვაი-ვუის შეგვყრის... თუ არა-და (დაჩხავლებად ნუ ჩამომართმევთ) — აგერ თქვენ და აგერ მე...

საკვირველია: ამ ვაი-ვუი პრეზიდენტმა ორჯერ გაგვიმართა პომპეზური, „სადავითაღმაშენებლე“ ინაუგურაცია; ჩვენ კი ერთხელაც ვერ მოვუწყვეთ ისეთი **ინაუაქცია,** რომელსაც **ინაუგნაცია** მოჰყვებოდა...

**ბერდია ბედოიძე**

◉ დედაქალაქის პრობლემები



# როდემდე უნდა „იგულაოს“ უგულავამ?

**წინა კვირაში დედაქალაქის მერი დაკითხვაზე არ გამოცხადდა. საქმე ეხებოდა გახმაურებული „საზოგადოებრივი აზრის“ რაღაც უაზრო ცენტრის შექმნისა და მასში 764 ადამიანის დასაქმების საკითხს. მათ დასაფინანსებლად ქალაქის ბიუჯეტიდან 5 მლნ 200 ათასზე მეტი ლარი გამოიყო. როგორც წინასწარ გამოძიებით ირკვევა, ხალხის მოსაკრებლიდან დაფინანსებულნი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები და კოორდინატორები იყვნენ.**

როდესაც სკანდალმა პიკს მიაღწია, უგულავამ თავის მორჩილ საკრებულოს მიაღებინა კიდევ უფრო სკანდალური პროექტი, რომლის მიხედვითაც თბილისის მასშტაბით უბნებში, მოედნებსა და გასართობ ადგილებზე დასაქმდებიან ადამიანები, რომელთა მოვალეობაც 6-10 წლის ბავშვების გართობა და ვარჯიში იქნება. გამრთობის ხელფასი 600 ლარი იქნება. ამისათვის ბიუჯეტიდან 3 მლნ ლარი გამოიყო. თბილისში 400 მოედანი შეირჩა. უნდა შეირჩეს ამდენივე გამრთობ-პედაგოგ მწვრთნელიც. მათ სამსახურში მოსაწყობად არც ლიცენზია სჭირდებათ, არც პედაგოგიური განათლება და არც იმის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი, რომ შეუძლიათ ბავშვებთან მუშაობა.

როგორც საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები აცხადებენ, მათი არგუმენტირებული პროტესტი ყურად არავინ იღო. თანხა ისე მოითხოვეს, რომ წინასწარ არაფერი ჰქონიათ გათვლილი და დაანგარიშებული. თებერვლის ბიუჯეტი წინასწარ, იანვრის ბოლო სხდომაზე დაამტკიცეს და ისე მოიძიეს თანხები. მხოლოდ შემდეგ, 10 თებერვლამდე უნდა წარმოადგინოს მერიამ, თუ როგორ იმუშავებს ეს ხალხი, რა პრინციპით შეირჩევა და ა. შ.

„ნოვაციის“ კომენტირებისას მერის მოადგილემ ნიკოლოზ ხაჩირიშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილებები ბიუჯეტში შიდა რეზერვის ხარჯზე შევიდა. ამით ბიუჯეტს ზარალი არ მისდგომია. ასევე ხელუხლებელი დარჩა სოციალური მუხლები. მერის მოადგილე თვლის, რომ ეს თბილისელთათვის ძალიან კარგი პროექტია.

საწინააღმდეგო აზრი აქვს საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტს არჩილ გამზარდიას. მას მიაჩნია, რომ ამგვარი საკითხები საუბნო დონეზე არ უნდა წყდებოდეს. ამას სპეციალური განათლება და კვალიფიკაცია სჭირდება. სპეციალისტის აზრით, საკითხის ნაჩქარევად, მოუმზადებლად გადაწყვეტა მრავალ ეჭვს ბადებს. ამგვარი რამ განათლების სამინისტროსთან ერთად უნდა განიხილებოდეს და წყდებოდეს. ეს ჩვეულებრივი საქმე არაა, ამბობს გამზარდია, რადგანაც საქმე ბავშვს და მის აღზრდას ეხება. განათლების სამინისტროს ჩაურევლად მსგავსი პროექტების განხორციელება იაფფასიანი პოპულიზმის გამოვლინებას ემსგავსება.

მისივე თქმით, ცალკე განხილვის საგანია, თუ რამდენად ღირს ამ პროექტის განხორციელება და თვლის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჯერ ამ პროექტის არსებობის აუცილებლობაში უნდა დაგვარწმუნოს. არალოგიკური იქნება, თუ ეს პროექტი მხოლოდ ამ გაზაფხულზე განხორციელდება და შემოდგომაზე — აღარ. რადგან თუ ეს ბავშვებს სჭირდებათ, ხომ ყოველთვის დასჭირდებათ?

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისის“ თავმჯდომარეს გიორგი მუსხელიშვილს მიაჩნია, რომ თანხები, რომლებიც გაურკვეველი წარმომავლობის პედაგოგებისთვის გამოიყო, სინამდვილეში ნაციონალთა კოორდინატორებისთვისაა განსაზღვრული. ფრაქციის თავმჯდომარემ იქვე აღნიშნა, რომ „თბილისს თავხედი“ მერი ჰყავს. ყველაფერი იმის შემდეგ, რა აჟიოტაჟიც მოჰყვა დასუფთავების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში 760 ნაციონალური აქტივისტის დასაქმებას, მერს ჰყოფნის თავხედობა და ამჯერად იგივე მიზნებისათვის 400 „გამრთობ-პედაგოგს“ ასაქმებს.

გასულ კვირას თბილისის მერიამ საკრებულოს ახალი ინიციატივით მიმართა, რომლის მიხედვითაც დედაქალაქი 10 რაიონად უნდა დაიყოს. როგორც მერიაში განმარტავენ, ეს დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს არ გამოიწვევს. მერიაში განმარტავენ ცვლილებების მიზეზებსა და მიზნებსაც. ჩინოვნიკები ამბობენ, რომ დაყოფა მარტივად მოხდება. ამჟამად არსებული რაიონების (ვთქვათ დიდუბე-ჩუღურეთის) გაყოფა მოხდება ორ ადმინისტრაციულ ერთეულად (დიდუბე, ჩუღურეთი). არ მოხდება ადმინისტრაციული ხარჯების გაზრდა, რადგან გამგეობის მომსახურების ცენტრები 2 რაიონს მოემსახურება. დაყოფის მიზანს მერიაში ასე განმარტავენ — ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების უკეთ გადაწყვეტა, დარეგულირება, მასში მოსახლეობის ჩართულობის დონის ამაღლება და თბილისელების საზოგადოებრივი, სოციალური, ეკონომიკური ინტერესების კიდევ უფრო ეფექტიანად ამაღლება.

საკრებულოს „რესპუბლიკური პარტიის“ წევრის, გულო ზუმბაძის განმარტებით ცოტა ხნის წინათ უგულავამ ქალაქის სამსახურებში შემოიღო სამეთვალყურეო საბჭოები, სადაც დაასაქმა ყოფილი პარლამენტარები და მაღალი თანამდებობის პირები. დაუნიშნა მათ მაღალი ხელფასები. რაიონების დაყოფით მერი კიდევ უფრო მეტი ყოფილი ჩინოვნიკის დასაქმებას გეგმავს.

ზუმბაძის გადმოცემით, დაწყებულია საბავშვო ბაღებში სამეთვალყურეო საბჭოების შემოღების პროცესი. იქ ორორი პიროვნება (მაღალანაზღაურებადი) დაინიშნება. ძნელი მისახვედრი არ არის, ისინი ნაცების კოორდინატორები იქნებიან — ასკვნის ოპოზიციონერი დეპუტატი.

საკრებულოს ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატის“ წევრი ჯაბა სამუშია აპირებს დაიანგარიშოს, ახალი ცვლილებები და ინიციატივები რა დაუჯდება ბიუჯეტს და ამის მერე გააკეთოს განცხადება.

იანვრის შუა რიცხვებიდან მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში შს „სინათლის ქალაქი“, „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“, „თბილსერვის ჯგუფი“ და სხვა უკვე დასაქმებულია და მაღალ ხელფასებს იღებს 36 ყოფილი მაღალჩინოსანი „ნაციონალური მოძრაობიდან“ (კობა ხაბაზი, ლადო ვარძელაშვილი, ლევან თარხნიშვილი, რუსუდან კერვალიშვილი, გიორგი ასანიძე, აკაკი სეფერთელაძე, გიგა ნასარიძე, ეკა ხერხეულიძე, ბადრი ბასიშვილი, დავით იოსელიანი და ა. შ.).

**ფსიქოლოგი ნინო შერეზადაშვილი: „უგულავა ამ ქმედებებით ცდილობს თბილისში შექმნას სანგარი, სადაც გამაგრებული იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ ციხე-სიმაგრე. მაგრამ უგულავას ავიწყდება, რომ ნაციონალებმა 1 ოქტომბერს არჩევნებში პირწმინდად წააგეს დედაქალაქი. მაშ რას უნდა მივაწეროთ მისი ქცევა, უზომო თავხედობა, აგონიაში ყოფნა? და მესამე, ყველაზე რეალური (ჩემი აზრით), უგულავას ვიღაცა შეგნებულად მიაქანებს უფსკრულისკენ“.**

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ინფორმაცია

## აღმოჩენილია ცნობილი პიროვნების პირადი ცხოვრების უკანონოდ გადაღებული კადრები

**შინაგან საქმეთა მინისტრმა სამინისტროში მისი მთელი წლის საუბრის აუდიოჩანაწერები და ცნობილი პირების პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა აღმოაჩინა, — ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა „რუსთავი 2“-ის ეთერში, გადაცემა „პოზიცია“-ში განაცხადა.**

**მისივე თქმით, აგენტების შეგზავნა და პირადი ცხოვრებით ოპონენტების შანტაჟი ახალი ხელისუფლების სტილი არ არის. — ჩემი მთელი წლის საუბრის აუდიოფაილები აღმოვაჩინეთ საიდუმლო არქივში, რომლებიც დისკებზე იყო ჩაწერილი. სხვა ძალიან „საინტერესო“ მასალებსაც მივაგენით. დაგვხვდა ბევრი ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალა, რაც ამაზრზენია და დავრწმუნდით, რასთან გვქონდა საქმე და რა მეთოდებით მუშაობდნენ ოპონენტების მისამართით. საკმაოდ მოცულობითი არქივია. ძალიან მძიმე კადრებია და ამ კადრების გამოქვეყნებას არ ვაპირებ, მაგრამ კონკრეტული პირები ძალიან მალე დაიკითხებიან. ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება, — განაცხადა ღარიბაშვილმა.**

**მისივე თქმით, ვიდეოფირები არა მხოლოდ პოლიტიკური პირების, არამედ სხვა საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების პირად ცხოვრებასაც ასახავს. „ეს არის დალუქული არქივი და მოხდება მისი სრულად განადგურება. საზოგადოებაც ამ არქივის განადგურების შესახებ ინფორმაციას მიიღებს, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. იანეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. გუბისწყალზე „იანეთის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 180 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. იანეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 24 176 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 417,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეპ თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 035 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 7 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 34**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) კარიერის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისთვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. როდიონოვკის მიმდებარე ტერიტორია, „ფარავნის" პერლიტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა 911 680 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. როდიონოვკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეპ თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 7 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 35**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმიანობისთვის მიღებული უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა რგანის მიმდებარე ტერიტორია, „ზედა რგანის" კვარციანი ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 31 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა რგანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 4 224 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 422,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეპ თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 045 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 7 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი № 36**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 578 581 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@anr.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მინერალური მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მინერალური მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მასი მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მინერალური მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს შეეძლოს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდინარე ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყლის დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) უნდა განხორციელდეს ობიექტის (ჭის) შემოღობვა და დაჭაობებული უბნის დამშრობა სადრენაჟე არხის საშუალებით;<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარების მიმდებარე ტერიტორია, მინერალური მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 15 მ³/დღე-ღამეში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარტყოფის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 171 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეპ თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 234 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 7 თებერვალს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 11 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 11 მარტს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### ძიუდო



# ჩემპიონის დაბრუნება გადაიდო

**მომავალ უქმეებზე — 9-10 თებერვალს, საფრანგეთის დედაქალაქი ძიუდოისტთა „დიდი სლემის“ ტურნირს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ დაასახელა ჩვენი გუნდის ის შემადგენლობა, რომელიც პარიზში იჭიდავებს. სამფეროვანთა ტატამზე გამოვლენ: ამირან პაპინაშვილი, ბეთქილ შუკვანი (60 კგ), ტრისტან ფეიქრიშვილი, თორნიკე თათარაშვილი (66), ზებედა რეხვიაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი (73), ავთანდილ ჭრიკიშვილი (81), ვალერი ლიპერტელიანი (90), ლაშა გურული, დავით ლორიაშვილი (100), ადამ ოქრუაშვილი, გიორგი ზაქარიაძე (+100).**

როგორც ვხედავთ, შემადგენლობაში ისევ არ არის ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი. ოპერაციის შემდეგ მან საბრძოლო კონდიციების აღდგენა ვერ მოასწრო, ამიტომ, სავარაუდოდ, 23-24 თებერვალს დიუსელდორფის „დიდ პრიზზე“ იჭიდავებს. თუმცა იგი ნაკრებს მაინც გაჰყვება პარიზში და ტურნირის შემდეგ იქაურებთან ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას.

გუნდში, როგორც ნახეთ, არის ერთი სიახლე — აქტიურ სპორტს დაუბრუნდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი ბეთქილ შუკვანი, რომელიც ლონდონის ოლიმპიადაზე მომხდარი სკანდალის შემდეგ ტატამს არ გაჰკარებია.

**ვაჟა ნოსირელი**

### ჩოგბურთი

# ბაბუის ნაამაგარი

**აბუ-დაბიში დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შესანიშნავად იასპარეზა შოთა მეფარიძემ, რომელმაც ერთეულებში ყველა მეტოქე დაამარცხა და მთავარი პრიზი მოიპოვა, მერე კი წყვილებში თბილისელ ალექსანდრე ბაკშისთან ერთად ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.**

მეფარიძის ეს წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა: თანატოლებში ის კარგა ხანია, კვარცხლბეკს გაუშინაურდა. საქართველოს ორგზის ჩემპიონია. 2008 წელს გერმანიაში 12 წლისამ BMW-ს თასი დაისაკუთრა, ორი



წლის შემდეგ თურქეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო წყვილებში. განსაკუთრებით 2011-2012 წლებში იყოჩაღა — ბაქოს, თელავის, ესპანეთის, სომხეთის, ყირგიზეთისა და დუბაის საერთაშორისო შეჯიბრებების ჩემპიონია. თავად 16 წლისაა (1996 წლის 2 აპრილსაა დაბადებული, სწალობს თბილისის სკოლა-ლიცეუმ „ოაზისში“), მაგრამ ორი წლით უფროსებში ცდის ძალებს და 18-წლიანთა მსოფლიოს რეიტინგში 290-ეა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 2001 წელს დეიდამ და ბაბუამ — ეკა და გურამ თოხაძეებმა ხუთი წლის ბიჭი ნაძალადევში გურამ თოხაძის საჩოგბურთო სკოლის კორტებზე მიიყვანეს. გამოცდილმა სპეციალისტებმა ყმაწვილში მალევე შენიშნეს ტალანტი და დღემდე მის დაოსტატებაზე ზრუნავენ. გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ გურამ თოხაძე ჩოგბურთის ცნობილი სპეციალისტია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, მრავალი ტიტულოვანი სპორტსმენის დამფრთიანებელი. მათგან გამორჩეულები არიან ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ლეილა მესხი, საქართველოს ჩემპიონები და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები — მაკა ჩახნაშვილი, თათია მიქაძე, ირაკლი უშანგიშვილი, გიორგი რევაზიშვილი და სხვები. 2011 წელს ევროპის ჩოგბურთის ფედერაციამ გურამ თოხაძე დააჯილდოვა სპეციალური პრიზით, როგორც კონტინენტზე ერთ-ერთი საუკეთესო ორგანიზატორი და მწვრთნელი. ამაგდარი პედაგოგი დღესაც უნარიანად უძღვება ტალანტების დაოსტატებას. სიმბოლურია, რომ გურამ თოხაძის ამქარს მისი შვილიშვილი — შოთა მეფარიძეც ამშვენებს.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ბაბუა და შვილიშვილი.**

### სამთო თხილამურები

# წიკლაური საფეხურით დაწინაურდა

**ამას წინათ ევროპის თოვლიან ტრასებზე წარმატებით იასპარეზეს ქართველმა მოთხილამურეებმა — საქართველოს ნაკრების წევრებმა იასონ აბრამაშვილმა და ნინო წიკლაურმა, რომლებმაც გერმანიისა და იტალიის ტურნირებზე, შესაბამისად, პირველი და მესამე ადგილები დაიკავეს.**

ჩვენი მოთხილამურეები კვლავაც წარმატებით განაგრძობენ ევროპელებთან პაექრობას. ამჯერად, ისევ წიკლაურმა იყოჩაღა — იტალიურ ზოლდო ალტოში ქალთა შორის გიგანტურ სლალომში (2.10,88) მე-2 ადგილი დაიკავა. ჩვენებურს მხოლოდ მასპინძელმა მარტინა გნეჩმა (2.09,68) აჯობა. მესამეზე იტალიელი დეიდრე ბელოდისი (2.10,88) გავიდა.



გერმანული იენერიდან იასონ აბრამაშვილმა გიოტშენში გადაინაცვლა და გიგანტურ სლალომში (2.16,67) ამჯერადაც მე-11 ადგილით დაკმაყოფილდა. ჯაბა გელაშვილი თანატოლთა შორის სლოვენიაში (სლალომი) მეცხრე ადგილს დასჯერდა.

**გივი გაგუა**

### მშვილდოსნობა

# ისევ ძველი გვარდია



**წლეულს თებერვალ-მარტის მიჯნაზე პოლონეთი მშვილდოსანთა ზამთრის ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის უკეთ მომზადებისა და ნაკრები გუნდების დასაკომპლექტებლად კანდიდატების შერჩევის მიზნით „საქართველოს უნივერსიტეტის“ დარბაზში ზამთრის ეროვნული პირველობა გაიმართა.**

ქალებში შესარჩევი ეტაპის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქრისტინე ესებუამ მოიგო. მეორე-მეოთხე ადგილებზე ხათუნა ნარიმანიძე (559), ლანა ვერულიძე (558) და ასმათ დიასამიძე (553) გავიდნენ. ნახევარფინალში ნარიმანიძემ ვერულიძეს აჯობა 6:2 და ფინალში დიასამიძის მძლეველ ესებუას დაუპირისპირდა. ძირითადი სერია ფრედ — 5:5 დასრულდა. დამატებითი გასროლაც ორივემ ათიანში გაარტყა, თუმცა ნარიმანიძის ისარი უფრო ცენტრისკენ აღმოჩნდა და პირველობაც მას ერგო. ვერცხლის მედალი ესებუას ხვდა. მესამე ადგილისთვის ბრძოლა ვერულიძემ, ასევე, მცირე უპირატესობით დიასამიძეს მოუგო.

ვაჟებში ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ საუკეთესო ოთხეული ნახევარფინალში დაუპირისპირდა ერთმანეთს. ლაშა ფხაკაძემ ჯერ ირაკლი ქვლივიძეს 7:3 სძლია, მერე ლევან პოპიაშვილს და ჩემპიონობა მოიპოვა. ბრინჯაოს მედლისთვის პაექრობაში ქვლივიძემ ვლადიმერ ბოლქვაძეს აჯობა.

ოცწლამდელებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. მედეა აბულაძე, 2. თეონა კუტალაძე, 3. ციალა ფუტკარაძე. **ვაჟები.** 1. თენგიზ ლურმანაშვილი, 2. აკაკი ლეკვეიშვილი, 3. ზურაბ მესტვირიშვილი.

**ლაშა დიდია**

### სპორტი და კორუფცია

# სინგაპურული რვაფეხას მხუთავი მარყუჟი

**ბოლო წლებში საფეხბურთო სამყარო სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) ეროვნულ ჩემპიონატში ეგრეთ წოდებული „ჩაწყობილი თამაშების“ არაერთმა გახმაურებულმა ამბავმა შეძრა. გარიგებული თამაშების თემა მეტად აქტუალურია ისეთი დიდი საფეხბურთო ქვეყნებისთვის, როგორებიც არიან იტალია და გერმანია, სადაც ორგანიზებულმა დანაშაულმა წამყვან ლიგებში შეაღწია. ამ კრიმინალური ქსელის შემქმნელად სინგაპურელ ჩან ტანს ასახელებენ.**

წინასწარ განსაზღვრული შედეგით საფეხბურთო შეხვედრების საკითხის ძიებისას უმეტესობა შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები სინგაპურულ კვალს აგნებენ ხოლმე. საქმე ისაა, რომ ბუკმეკერულ ბაზარზე გადახდების 70-დან 80 პროცენტამდე აზიურია, თანაც ფსონები, ჩინეთზე ტრანზიტით, სინგაპურიდან მოდის. ჩან ტანის დანაშაულებრივი ქსელის მოქმედების დეტალები ინტერპოლს 2011 წელს დაკავებულმა მისმა თანაშემწემ პირუმაუმ გააცნო.

— ჩაწყობილი თამაშები — ესაა ევროპული ფეხბურთის სამწუხარო სინამდვილე, — აღნიშნა ევროპოლის თავკაცმა რობ უენრაიტმა. — ადრე ვიცოდით, რომ ორგანიზებული დანაშაული ლეგალური ეკონომიკის მრავალ სექტორში მოქმედებს, მაგრამ ახლა ხელში პირველად ჩაგვივარდა იმის უდავო მტკიცებულებები, რომ ორგანიზებული დანაშაული ასევე აქტიურად მოქმედებს ფეხბურთშიც.

ბოლო წლებში აგორებულ რამდენიმე საფეხბურთო სკანდალში ასევე სინგაპურული მაფია იყო გარეული. წინასწარ მოლაპარაკებული თამაშები ორგანიზებული იყო ასევე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში, უეფას ლიგის ბადესა და, სულ მცირე ორჯერ მაინც ევროპის ჩემპიონთა ლიგაში.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ევროპოლის გამომძიებლებს ბატონ ჩან ტანთან არაერთი შეკითხვა აქვთ, მაგრამ სინგაპურის ხელისუფლება ჯერჯერობით უარს აცხადებს მის ექსტრადიციაზე, მის მიერ შექმნილი ქსელი კი კვლავინდებურად განაგრძობს მოქმედებას.

ევროპოლის გამოძიებამ, რომელიც ჩაწყობილი თამაშების მტკივნეულ თემას შეეხო, ბევრს კითხვა გაუჩინა: რამდენად შორსაა წასული ეს პროცესი და როგორია მდგომარეობა მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში?

— ევროპოლის გამოძიებამ ესტაფეტა ეგრეთ წოდებული ბოჰუმის საქმისგან მიიღო, რომელიც ევროპის ჩემპიონთა ლიგის ჩაწყობილი თამაშების საკითხს ეხებოდა, — ამბობს გახმაურებული სახელმწიფო დოკუმენტის „სპორტული ვნებანი და კორუფციის“ ერთ-ერთი თანაავტორი სარა ლაკრიერი. — თუმცა კი განხილვის საგანი, არსებითად, ეროვნულ ჩემპიონატებში წინასწარ გარიგებული თამაშები გახდა — ძირითადად სწორედ ისინი წარმოადგენდნენ თაღლითთა მიზანს.

მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმის თაობაზე, რომ მთელ რიგ შემთხვევაში თამაშების შედეგები წინასწარვე იყო განსაზღვრული და სპორტულ მაფიასთან გარკვეული საფეხბურთო მოღვაწეები და მოთამაშეები „თანამშრომლობდნენ“, ამან მაინც არ შეიძლება ჩირქი მოსცხოს მთლიანად ფეხბურთს და პანიკის საფუძველი გახდეს, თითქოს ყველა თამაში „ჩაწყობილია“.

სამწუხაროდ, კორუფცია ფეხბურთში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ამიტომ ყველანი ფხიზლად უნდა ვიყოთ, რადგან დროთა განმავლობაში ფეხბურთი სულ უფრო მეტად სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის კრიმინალისტეტის წარმომადგენლების ყურადღებას იპყრობს და, როგორც ევროპოლის ბოლო გამოძიება ცხადყოფს, იტალიურ ფეხბურთში აგორებული სკანდალების უკან აზიური მაფია დგას, რომელსაც დახმარებას ბალკანეთის დანაშაულებრივი დაჯგუფებები უწევენ.

გამოძიების მთავარი საკითხია საფეხბურთო მატჩებზე დადებული ფსონები. საქმე ეხება როგორც ლეგალურ, ასევე არალეგალურ ტოტალიზატორებს, ამიტომ ამ საქმეში კონტროლის დამყარების საკითხში, უკვე ამოქმედებულ სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად, დიდი დახმარების გაწევა ბუკმეკერებსაც შეუძლიათ, რომ-



ლებსაც საამისოდ დიდი პოტენციალი აქვთ.

ისე კი, აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაწყობილი თამაშების თემა ბოლო დროს მეტ-ნაკლები სიმძაფრით სპორტის სხვა სახეობებშიც იჩენს თავს, რასაც სპორტული საზოგადოებრიობისა და ჩინოსნების მხრიდან აუცილებლად დროულად მოხედვა უნდა, — ასკვნის ქალბატონი ლაკრიერი.

**ირმა ირემაშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ესეც ასე!

# აკი კორუფცია დავამარცხეთო?!

## „ნაციონალებმა“ საქართველოს მაღალი კორუფციული რისკის თავდაცვა დაუტოვეს?

**გასულ კვირაში საქართველოში არსებული კორუფცია კვლავ გახდა მსჯელობის საგანი. ამის მიზეზად იქცა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული საერთაშორისო ინდექსი, რომლის თანახმად, საქართველო აღმოჩნდა იმ ქვეყნების კატეგორიაში, სადაც თავდაცვის სფეროში კორუფციის რისკი საკმაოდ მაღალია.**

**საერთაშორისო ორგანიზაციამ კორუფციის რისკის თვალსაზრისით მსოფლიოს 82 ქვეყანა შვიდ ჯგუფად დაჰყო და საქართველოს ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგად ადგილი მიუჩინა D ჯგუფში, ანუ იმ ქვეყნების კატეგორიაში, სადაც თავდაცვის სფეროში კორუფციის რისკი საკმაოდ მაღალია. საქართველოს გარდა ამ კატეგორიაშია კიდევ 14 ქვეყანა, მათ შორის რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, თურქეთი და ჩინეთი.**

ასეთი არასახარბიელო სურათი რამდენიმე სფეროსა და მიმართულების ანალიზის საფუძველზე წარმოჩინდა. შეფასება შეეხებოდა თავდაცვის სამინისტროს საქმიანობას, რაც გულისხმობს შესყიდვებისა და ტენდერების გამჭვირვალობას, კადრების დაწინაურება-დაქვეითებისა და წახალისების სამართლიანობას და საპარლამენტო-დემოკრატიულ კონტროლს შეიარაღებულ ძალებზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის თქმით, ყველა ამ თვალსაზრისით მიღებული შედეგები მეტყველებს, რომ თავდაცვის სიტემაში კვლავაც პრობლემად რჩება ელიტური კორუფცია, ხოლო კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები პრაქტიკაში არ ხორციელდებოდა.

**„არსებობს საქართველოს პარლამენტი, რომელმაც ზედამხედველობა უნდა გაუწიოს თავდაცვის სამინისტროს, მაგრამ ჩვენ წინა წლებში ვხედავდით, რომ ასეთი კონტროლი არ ხდებოდა. იგივე შეიძლება ითქვას შესყიდვებზე. საქართველოს მთავრობა ამბობდა, რომ არსებობს ელექტრონული შესყიდვების გამჭვირვალე სისტემა, თუმცა, რეალურად არც ეს განხორციელებულა.“**

„სახელმწიფო თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსი 2013,“ რომელზეც ეკა გიგაური საუბრობს, 29 იანვარს გამოქვეყნდა და მის შექმნაში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – ბრიტანეთის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების პროგრამისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნული ბიუროები მონაწილეობდნენ. მიუხედავად ასეთი რეპრეზენტაციული კვლევისა, ცოტა დაუჯერებლად გამოიყურება კორუფციის რისკის თვალსაზრისით რუსეთთან და ჩინეთთან საქართველოს მოხვედრა – საქართველოსი, რომლის სამხედრო უწყების წარმატებულ რეფორმირებაზე სულ არის საუბარი ნატოს ბოლო სამიტის დეკლარაციებში. მაღალი რისკის ზონაში საქართველოს თავდაცვის უწყების მოხვედრას ბოლო ხანს გამომზეურებული სკანდალური ფაქტებით ხსნის არასამთავრობო ორგანიზაციის „თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის სამოქალაქო საბჭოს“ გამგეობის წევრი თეონა აქუბარდია, რომელიც ზემოხსენებულ თავდაცვის ანტიკორუფციული ინდექსის შედგენაში აქტიურად იყო ჩაბმული:



**„ამის ძალიან კარგი მაგალითი იყო „ელბიტ-სისტემის“ თემა, როდესაც იუსტიციის სამინისტრომ 50 მილიონი დოლარი გადაიხადა, მაგრამ არ არის გახმაურებული, თუ რატომ. იგივე „კალაშნიკოვების“ თემა, რომელიც არჩევნების შემდეგ გახმაურდა, იგივე 130-მილიონიანი დანაკლისი თავდაცვის ბიუჯეტში, რომელიც ალასანიას დახვდა სამხედრო უწყების ჩაბარების დროს.“**

ისრაელის თავდაცვით ფირმა „ელბიტ სისტემთან“ 2008 წელს დადებული კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა გვარიანად იზარალა. ოთხწლიანი დავისა და საერთაშორისო სკანდალის შემდეგ, საქართველოს მხარემ მოთხოვნილი 100 მილიონი დოლარის ნაცვლად მოდავე კომპანია „ელბიტ სისტემს“ 35 მილიონი დოლარი გადაუხადა და ალჭურვილობის ნაწილიც უკან დაუბრუნა. თუმცა, წინა ხელისუფლებამ ისე დაასრულა მოღვაწეობა, რომ პასუხი არ მოუთხოვია საზარალო კონტრაქტზე ხელმომწერი არც ერთი ქართველი მოხელისთვის. რაც შეეხება რუსული წარმოების „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს, ამ და სხვა შესყიდვებში სავარაუდო კორუფციული სქემების არსებობის შესწავლა ხელისუფლების გადაბარების შემდეგ ახალმა მთავრობამ მოითხოვა.

**„კიდევ ერთი გაუაზრებელი დაფინანსება, რომელიც მათ მოახერხეს და განახორციელეს, ეს გახლდათ ის, რომ თავდაცვის სამინისტროში შეიძინეს N რაოდენობის უძველესი ტიპის „კალაშნიკოვის“ ავტომატები ათმაგ ფასში – 42 მილიონი ლარი გადაიხადეს, რაც აუცილებლად გადაეცემა პროკურატურას შემდეგი კვლევისთვის. გადარიცხულია იმავდროულად რაღაც ტანკზე 3 მილიონი ლარი, მეორე სამ მილიონს ჩვენ უკვე აღარ გადავრიცხავთ, მაგრამ, აი, ასეთი ტიპის ხარჯების გამო მოგვიწია, 52 მილიონი ლარი დაგვემატებინა წლის ბოლომდე თავდაცვის სამინისტროსათვის“, –- განაცხადა 28 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.**

მთავარ პროკურატურას მართლაც გადაეცა ეს საქმე და ყველა სხვაც, რაც აუდიტის ჩატარების შემდეგ გამოვლინდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. თუმცა, საქმე არ შემოიფარგლება მხოლოდ 2012 წელს განხორციელებული საეჭვო შესყიდვების კანონიერების შესწავლით. როგორც საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა რამდენჯერმე განაცხადა ღია ეთერში, პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროში 2004-2012 წლებში განხორციელებული საფინანსო საქმიანობის შესწავლა დაიწყო. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც თავდაცვის სამინისტრო ყველაზე მაღალბიუჯეტიან, თუმცა, ყველაზე დახურულ და გაუმჭვირვალე სტრუქტურად გადაიქცა.

**კობა ლიკლიკაძე**

ინტერნეტიდან

# „ბებოს რომ აშინებდა კახეთში, გაგაუპატიურებენ რუსებიო, ვის დაუტოვა ახლა ის ბებო?“

**უმცირესობის წევრები ვერულაშვილის მიერ საპარლამენტო უმცირესობის დატოვებას ზეწოლითა და მუქარით ხსნიან.**

**მარიკა ვერულაშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვა და შესაბამისი განცხადებით პარლამენტის ბიუროს მიმართა. ვერულაშვილის განცხადებაში ნათქვამია, რომ ის ფრაქცია „რეგიონებს“ ტოვებს. „გავდივარ „ნაციონალური მოძრაობა – რეგიონების“ რიგებიდან“, – აღნიშნულია 4 თებერვლით დათარიღებულ ვერულაშვილის მიმართვაში. ის ფრაქციიდან გასვლის მიზეზს არ ასახელებს და არც იმას ამბობს, თუ რომელ ფრაქციაში აპირებს გადასვლას.**

**აი, რა კომენტარები დაიდო სოციალურ ქსელ ფეისბუკზე:**

„მარტივი პროვოკაცია იმისთვის, რომ გამოჩნდეს, როგორ დაატერორეს საწყალი მარიკა...“

„ეს ზღაპრები ბებიამისს მოუყვეს!“

„ალბათ კოშმარებში 106 ესიზმრებოდა...ეხ, მარიკა, მარიკა... 106 წლის ქალზე რა გითხრა და... ყვარლელები რომ დააბოლე, შემოვა რუსის ჯარი და 106 წლის ქალივით გაგაუპატიურებენო“...

„არა, რა დროს ეგ იყო, ქვეყანას უჭირს! 106 წლის ქალების მასობრივი გაუპატიურება მზადდება დაა“....

„დაიმალეთ, ბებიებო, მარიკა დამცველი აღარ გვყავთ, დავიღუპეთ.“

„ნაცების მეორე ფრაქციაში გადავა...“

„უმრავლესობაში ჩაინერგება?“

„ვის რაში სჭირდება ეს უზნეო დედაკაცი?“

„როგორ შეიძლება ეგეთი ადამიანის ნდობა, საერთოდ, წლების განმავლობაში ნაცმოძრაობის სახე იყო, ვითომ რატო დატოვა? რა უნდა? ეხლა რა არ მოსწონს? ის, რომ უმცირესობაა?“

„იმედია სხვებიც მიბაძავენ...“

„მარიკა რა გულანთებული ნაცმოძისტი იყო და ამის მერე ლამისაა ბაქრაძის გადასვლაც აღარ გამიკვირდება...“



„ამასაც თუ შეიკედლებს უმრავლესობა, მაშინ უკვე ახალი მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის დაწყების დროც მოსულა!“

„აი უკვე ალაპარაკდნენ... დავით დარჩიაშვილი: ვერულაშვილმა სავარაუდოდ ზეწოლის შედეგად დატოვა უმცირესობა...“

„მიშას როგორ უღალატა, რაღაცა ხდება.“

„სულ ვფიქრობდი, რომ არ იყო ცუდი ადამიანი და მორალურად შეაწუხებდა ბევრი რამ. ეს თუ მართალია, ბარაქალა შენს ქალობას, მარიკა.“

„ეს ადამიანი ნაცბანდაში გამორჩეული იყო ყოველთვის...“

„მარიკა წავა თუ მოვა, რა მნიშვნელობა აქვს, ნეტავი რას აკეთებდა, როცა იქ იყო, ჰა?“

„მარიკა ვერულაშვილს, ჩემი აზრით, ასეთი მნიშვნელოვანი და კარგი არასოდეს არაფერი გაუკეთებია, და ეს ნაბიჯი ისევ თვითონ წაადგება, საკუთარი თავის რეაბილიტაციისთვის საზოგადოებაში, იქნებ სხვებმაც მიბაძონ.

„ჯერ სად ვართ, მალე ვნახავთ მარტივ მამრავლებად დაშლილებს.“

„არა აქვს მნიშვნელობა, სად წავა და სად შევა მარიკა ვერულაშვილი, ის მნიშვნელოვანი იდეების მქონე და როგორც ასეთი, დიდი პოლიტიკოსი არასოდეს ყოფილა და არც იქნება, მნიშვნელოვანი ისაა, სად და როდის დააჭერს ხელს პულტს და იტყვის „YES“, ესაა მთავარი, მე როგორც ვიცი, ის დედაა და მისი ხვალინდელი დღისთვის მნიშვნელოვანი ესაა, თქვას „YES“, და საკუთარი აზრი იყოს ეს, ამის გამო მე მის ნაბიჯს დიდ პატივს ვცემ და ამას ამ სიტუაციაში გმირობად ვუთვლი და არა ზეწოლად...ეს ჩემი სუბიექტური აზრია მხოლოდ და არ დამტუქსოთ...“

„ძალიან გავმხიარულდი! მარიკა – ეგ ბრუტუსი, ეგა! “

„იმედია, საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში არ ვიხილავთ! რაც შეეხება ზეწოლას, ძალიან არასერიოზულად მიმაჩნია ეს არგუმენტი, უფრო მორიგ ნაცმოძისეულ ბოდვას ჰგავს...“

„ახლა მთავარია, ოცნების რომელიმე პარტიაში არ ჩაინერგოს...ისე, რა კარგად ჟღერს – ჩანერგილები...“

„ა ვდრუგ ლონდონში გულაობს? ვის აინტერესებს ეგ კეკელკა...“

„ე.ი. რაც აქამდე გააკეთეს, უკვე აღარაფერია? მაგის რეაბილიტაცია შეიძლება?“

„ბებოს რომ აშინებდა კახეთში, გაგაუპატიურებენ რუსებიო, ვის დაუტოვა ახლა ის ბებო? სად წავიდა? რუსების ხელში დატოვა?“

„ისე...თავის რეგიონში უყვარდათ ეგ ქალი...და მართლა მოიგო არჩევნებიი.“

**ნატა ნიბლაძე**

განცხადება

# ქონება სახელმწიფოსთვის არ „გვიჩუქნია“, თაღლითურად წაგვართვეს

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2013 წლის 22 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით – „ცეკავშირის მილიონები: „დალექვის ადგილი უცნობია“, აღნიშნულ სტატიაში მითითებულია, თითქოს მე, ხაშურის რაიკავშირის თავმჯდომარემ, ციხის საკანში სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადავეცი კოოპერატივის ქონება, რაც არასწორია. პირიქით, სხვა 60 კოოპერატივისგან განსხვავებით, მხოლოდ ჩვენ ვუთხარით უარი დაინტერესებულ პირებს ქონების ჩუქებაზე და სწორედ ამის გამო, უსაფუძვლო არგუმენტებით დამაპატიმრეს.**

ისარგებლეს რა ჩემი პატიმრობით, გამყიდველი ადვოკატების და ძალოვანი სტრუქტურების დახმარებით, ხაშურის რაიკოოპერატივის აგრარულ ბაზარს, რომელიც საგადასახადო იპოთეკით იყო დატვირთული, ყალბი დოკუმენტებით, იპოთეკის გაუქმების გარეშე, ჩემი პატიმრობის პერიოდში, თაღლითურად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით, დაეუფლნენ „ცეკავშირის“ იმდროინდელი ხელძღვანელები და იმ პერიოდში ძალოვან სტრუქტურებთან დაახლოებული პირები. მათ, იმის ნაცვლად, რომ დაეცვათ ჩვენი უფლებები, დაინტერესებულ პირებთან წინასწარ შეთანხმებით, ეს ქონება „ცეკავშირის“ წევრებთან შეუთანხმებლად გადასცეს პირს, რომლის საწესდებო კაპიტალის საკონტროლო პაკეტს ფლობდა სახელმწიფო. ხოლო შემდეგ მათგან ერთ-ერთმა – ი. სისაურმა („ცეკავშირის“ გამგეობის წევრმა), გადასცა იგი ფოთის საზღვაო ნავსადგურს 60000 ლარად, მაშინ როცა ამ ქონების საბაზრო ღირებულება მილიონ ლარამდე ფასდებოდა.

ამრიგად, დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მე თითქოს ქონება სახელმწიფოს ვაჩუქე უსასყიდლოდ, არ არსებობს! სწორედ უარის მიღების შემდეგ შეცვალეს ტაქტიკა და, როგორც აღვნიშნე, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქონებაზე არსებობდა (დღესაც არსებობს) ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტილი სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი აქტები, განხორციელდა თაღლითურად, რაშიც სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან ერთად, ხელისუფლებასთან ლოიალურად განწყობილი „ცეკავშირის“ გამგეობის წევრებიც იყვნენ ჩართული, რამაც გამოიწვია კოოპერატივის ხელოვნურად გაკოტრება და ათეულობით წევრი უშემოსავლოდ დარჩა.

**პატივისცემით**
**პაატა ბარბაქაძე,**
**საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის – „ცეკავშირის“ დამფუძნებელი, ხაშურის რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე.**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პერსონა

# სამეფო ფესვები



**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ რიგით მეორე საინაუგურაციო ფიცი 21 იანვარს დადო. ცოტა ხანში კი სახელმწიფო დეპარტამენტში „მატრიარქატის“ ეპოქა დასრულდა, რომლის წინამძღოლები მადლენ ოლბრაიტი, კონდოლიზა რაისი და ჰილარი კლინტონი იყვნენ. ამჟამად ამ უწყებას ცნობილი დემოკრატი სენატორი ჯონ კერი ხელმძღვანელობს, რომლის გენეალოგიასთან დაკავშირებით ბრიტანული გამოცემის Burke's Peerage-ის ექსპერტებმა საგულისხმო გამოკვლევა ჩაატარეს.**

კერძოდ, გაირკვა, რომ 69 წლის ჯონ კერი, ვიეტნამის ომის ვეტერანი – ევროპის ყველა სამეფო ოჯახის, რიჩარდ ლომგულისა და, წარმოიდგინეთ, ივანე მრისხანის ნათესავიც კი არის! ამ ნათესაობას მისტერ კერი დედას, როზმარი ფორბსს, ცნობილი დინასტიის მემკვიდრეს უნდა უმადლოდეს. **„ჯონ კერი ნებისმიერ ამერიკელ პრეზიდენტზე უფრო კეთილშობილური წარმოშობისაა!“** – აღფრთოვანებული არიან ბრიტანელი ჟურნალისტები. მამის მხრივ კი ჯონ კერის გაცილებით მოკრძალებული ნათესაობა ჰყავს: 1900 წელს ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომი ფრიც კოხი გვარს კერიზე, ხოლო იუდაიზმს კათოლიციზმზე ცვლის და ამერიკაში ემიგრირებს. საგულისხმოა, რომ ახალი გვარი სპონტანურად წარმოიშვა – მეუღლეებმა გეოგრაფიულ რუკაზე კალამი დააგდეს, რომელიც ირლანდიის საგრაფო კერის დაეცა...

ჟურნალისტთა მიერ ძლიერთა ამა ქვეყნისა გენეალოგიების გამოკვლევები ამით არ დასრულებულა. კერძოდ, მათ დაადგინეს, რომ დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II მეუღლე – 91 წლის **უფლისწული ფილიპი** რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I შვილთაშვილია, დედამისი კი რუსეთის ბოლო დედოფლის ალექსანდრა თევდორეს ასულის დისწული იყო.

ბრიტანეთის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი **დევიდ უილიამ დონალდ კემერონი,** რომელიც მინისტრთა კაბინეტის ყველაზე ახალგაზრდა ხელმძღვანელია ქვეყნის ისტორიაში ბოლო 200 წლის მანძილზე, მეფე ვილჰელმ IV უკანონო შვილის შთამომავალი და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე დიდის შორეული ნათესავია.

ცნობილ ბრიტანელთა უცხოური ფესვები ინგლისელმა ჟურნალისტებმა ლონდონის 48 წლის მერს **ალექსანდრ ბორის დე პფეფელ-ჯონსონსაც** აღმოუჩინეს. მისმა პაპისპაპამ ცოლად შეირთო სტამბოლის მონათა ბაზარში ნაყიდი ჩერქეზი ქალი. მისი დიდედის დედა, რომელიც კავკასიის ომის გამო ამჟამინდელი ადიღედან გაიქცა, ოსმალებს ტყვედ ჩაუვარდა. ინგლისელმა თავადმა კი იგი გამოისყიდა და ცოლად შეირთო. შემდგომ მათი შთამომავლები ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდნენ, იქიდან ინგლისში ჩავიდნენ და პოპულარული გვარი ჯონსონი მიიღეს.

**ნინო ალექსანდრია**

ტესტი

# ბედნიერი ხართ?



**როგორ უნდა გავიგოთ, ბედნიერია თუ არა ცოლქმრული წყვილი? ამის დასადგენად იტალიელმა მეცნიერებმა უბრალო ტესტი შეიმუშავეს. მათი აზრით, ბედნიერად ის წყვილები უნდა მივიჩნიოთ, რომელთა ცხოვრების ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი ნიშანი მაინც არის დამახასიათებელი.**

1. სულ მცირე ორი საერთო გატაცება (ჰობი). ნუ გაგიკვირდებათ: ეს, შესაძლოა, იყოს საავარაკე ნაკვეთი, შვილებთან და შვილიშვილებთან მეცადინეობა, ერთი და იგივე კინოფილმებისადმი ან ტელეგადაცემებისადმი სიყვარული.

2. ფრაზა „მე შენ მიყვარხარ“ დღეში ერთხელ ანდა მეტად ჟღერს. თუმცა, მაინცდამაინც სავალდებულო არ არის, იგი ხმამაღლა იყოს წარმოთქმული, მთავარია ამის განცდა გქონდეთ.

3. დღეში სულ მცირე სამი შეხება. ამაში შედის თმაზე ხელის გადასმა, მანდილოსნისთვის ხელის შეშველება და, ცხადია, მკლავგამოდებული სეირნობა.

4. თვეში ორი რომანტიული ვახშამი მაინც. რესტორანში წასვლა სავალდებულო არ არის, შეგიძლიათ სახლში ივახშმოთ, მთავარია სადღესასწაულო განწყობა.

5. მამაკაცი მანდილოსანზე ორი ან მეტი წლითაა უფროსი.

6. დღის განმავლობაში ერთმანეთთან 2-3 სატელეფონო ზარი ან SMS-შეტყობინებების გაგზავნა. ანდა, უბრალოდ, გასაუბრება – არა საქმეებზე, არამედ „ისე“, „უბრალოდ“, თუკი, ვთქვათ, ორთავე პენსიაზე ხართ და, ფაქტობრივად, მთელ დღეს ერთად ატარებთ.

7. წელიწადში ორჯერ მაინც საოჯახო დღესასწაულები და სიურპრიზები.

8. წელიწადში 1-4-ჯერ ერთად სადმე წასვლა.

ანეკდოტები

**– ყველა ქალი ქალია, მე კი ქალღმერთი ვარ!**

**– ჰო, რა თქმა უნდა, შენ ინდოეთში თაყვანს გცემენ...**

**– ვერ გავიგე?**

**– ინდოეთში ხომ ძროხა წმინდა არსებაა!**

* * *

**– მამი, როდესაც დიდი გავხდები, ხომ ყველაფრის გაკეთებას შევძლებ, რასაც მოვისურვებ?**

**– არა, შვილო, მაშინ უკვე დაოჯახებული იქნები...**

* * *

**კაცებო! თუ თქვენს დებილურ ანეკდოტებზე ქალები გაუთავებლად იცინიან, ისინი ან უიმედო სულელები არიან, ანაც თქვენ მათი ან უფროსი ხართ, ან – უცოლო.**

* * *



**– გაიხადეთ! – ხმადაბლა ეუბნება გაციებულყელიანი ექიმი ქალი თავის კაბინეტში შესულ პაციენტ მამაკაცს.**

**– თქვენ არ გაიხდით? – ჩურჩულით ეკითხება პაციენტი.**

* * *

**ქალები მაინც საოცარი ქმნილებები არიან. მხოლოდ მათ ძალუძთ მორალური ზარალის ამორალური მეთოდებით კომპენსირება.**

* * *

**წევს ქალი რეანიმაციაში. სულს ებრძვის.**

**– კიდევ ათი წლის სიცოცხლეს გჩუქნი! – ესმის უცებ ხმა.**

**წამოხტა ქალი საწოლიდან და პირდაპირ პლასტიკურ ქირურგთან გაიქცა. გაიკეთა რინოპლასტიკა, ლიპოსაქცია, კანი გადაიჭიმა. მოკლედ, ყველაფერი მოიწესრიგა: ამ ათ წელიწადს მაინც ვიცხოვრებ ჩემს გემოზეო.**

**გამოვიდა კლინიკიდან და უცებ სატვირთო მანქანამ გადაუარა.**

**– ღმერთო, ეს როგორ? ხომ დამპირდი, კიდევ ათ წელს გჩუქნიო? – ეკითხება ქალის სული უზენაესს.**

**– მაპატიე, ვერ გიცანი! – ესმის ხმა ზეციდან.**

ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### ჯონდი ბაღათურია სააკაშვილს მონასტერში წასვლას და ცოდვების მონანიებას ურჩევს

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინ პარლამენტში მოსულ მიხეილ სააკაშვილს, როგორც იტყვიან, კუდით ქვა ასროლინა, ვადაგასულ პრეზიდენტს ბრალს სისხლის სამართლის დანაშაულში სდებს – 187-გვერდიან ანგარიშში, რომელიც ბაღათურიამ იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურას უკვე წარუდგინა, პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების უკანონო საქმიანობაზე, პრაქტიკულად, დოკუმენტურადაა საუბარი. ამასთან, „ქართული დასის“ ლიდერი სააკაშვილს არადეკლარირებულ შემოსავლებში, კორუფციულ გარიგებებსა და სახელმწიფო ქონების მითვისებაში ადანაშაულებს.

**„ქართული სიტყვა“**

### აბსოლუტური ვერტიკალი – ივანიშვილს ალასანიასთვის ძალაგამოცლილი პრეზიდენტობაც არ ემეტება

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ირაკლი ალასანია პრეზიდენტობის ეტალონს ვერ ერგება და, შესაბამისად, ღია მინიშნებაც გააკეთა, რომ ის შემოდგომაზე კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი არ იქნება, ხოლო თუკი ალასანია კოალიციის წარდგენილ პოლიტიკოსს არ დაეთანხმება, კენჭისყრა დამოუკიდებლად შეუძლია.

როგორც პოლიტოლოგები აღნიშნავენ, ივანიშვილმა თავისი სათქმელი თქვა და ახლა ჯერი ალასანიაზეა – ალასანიამ უახლოეს დღეებში უნდა ახსნას, თმობს თუ არა ის პრეზიდენტობის ამბიციებს.

**„რეზონანსი“**

### „პროცესი ბადრიმ დაიწყო და ბიძინამ გააგრძელა“

2013 წლის 13 თებერვალს ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ხუთი წელი შესრულდება. ამ წლების განმავლობაში, ბევრი დაიწერა იმაზე, როგორ დაიწყო მისი ბიზნესკარიერა, ვინ აიძულა პოლიტიკაში ჩართვა და რატომაა ბურუსით მოსილი მისი გარდაცვალება. ბადრი პატარკაციშვილის დედა ნათელა პატარკაციშვილი „ვერსიას“ ბიზნესმენის ცხოვრების დეტალებს უმხელს, გარკვეულ ფაქტებს ახსენებს, ეჭვებს უზიარებს, აღნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა მისი შვილის მიერ დაწყებული პროცესი გააგრძელა და ამაზეც საუბრობს, მართლა იყო თუ არა დაპირისპირება პატარკაციშვილ-ივანიშვილს შორის.

**„ვერსია“**

### „კანონიერმა ქურდებმა“ დედ ჰასანის მკვლელი იპოვეს და მის კლანს განაჩენი გამოუტანეს

დედ ჰასანის მომხრეებმა საკუთარი გამოძიება დაასრულეს და თავიანთი ლიდერის მკვლელობაში ე. წ. კანონიერი ქურდი როვშან ჯანიევი დაადანაშაულეს. მისი და მისი კლანის წევრებს განაჩენი უკვე გამოუტანეს. ოპონენტების განადგურება უკვე დაწყებულია. მოსკოვში მოკლულია როვშანის „მარჯვენა ხელი“ რუფატ ნასიბოვი, ზედმეტ სახელად რუფო გიანუანსკი .

**„ახალი თაობა“**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com